ᲛᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 26 (19468) ◆ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲡ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ

ᲙᲐᲠᲗᲚᲘ საწარმოო მაჩვენებლებით ხვდება სკკპ XXVII ყრილობას თბილისის „გლდანის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი. მიმდინარე წლის იანვარში, მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობა 13,3 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება „ს“ ინდექსით გამოშვებული პროდუქციის ხვედრითს წილს სახალხო მოხმარების საქონლის მოლიან მოცულობაში, იგი 12 პროცენტით გადიდდა. 40 პროცენტი განახლდა ასორტიმენტი. 4,1 პროცენტით უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი ხელფასის ზრდის მაჩვენებელს. საგრძნობლად შემცირდა დროის დანაკარგები და პროდუქციის თვითღირებულება, მტკიცდება შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა, ინერგება ახალი ტექნიკა.

გაერთიანების მუშათა დიდმა ნაწილმა იანვრის დავალება საჭრთველოს კომპარტიის XIXV ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულა. განსაკუთრებით იმარჯვეს საქსოვი ფაბრიკისა და სამკერვალო სამაქროს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც გ. ჯოხაძე, ხ. კოტაშვილი, ი. დემიანენკო, შ. ადეიშვილი, ტ. წითლაძე, ვ. ზერეკიძე. რ. კოპალიანი, მ. სამადაშვილი, ო. გიგაური, ნ. ლაბაძე, ა. სამხარაძე ხელმძღვანელობენ.

ზ. ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ საშენ მასალათა კომბინატის მოზაიკური ფილების მხეზავთა ბრიგადამ იანვრის თვის გეგმის შესრულება უპატაკა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას — გრაფიკის გასწრებით გამოშვებულია 7000 კვადრატული მეტრი მაღალხარისხოვანი მოზაიკური ფილა.

კოლექტივის ეს წარმატება არსებული რეზერვებისა და სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების, შრომის ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდების დახერგვის მეშვეობით [illegible] ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ [illegible] ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ.

ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘ ᲛᲝᲚᲘᲡᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ერთი დღითაც არ წყდება შრომის ტემპი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტისა და ექსპლოატაციის პარკებში. იანვრის პირველ ნახევარში არსებული 462 ტრაქტორიდან საგაზაფხულო სამუშაოთა მაღალ დონეზე შესრულებისათვის მზად იყო მანქანების 91 პროცენტი.

ტექნიკის საგაზაფხულო შეკეთების სამუშაოები განსაკუთრებით ხარისხიანად და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ცხინვალის რაიონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტისა და ექსპლოატაციის პარკის ნახელოსნოებში, რომლებმაც საგეგმო 120 ათასი მანეთის ნაცვლად შეასრულეს 130 ათასი მანეთის სარემონტო სამუშაოები.

ᲞᲝᲠᲢᲝᲒᲐᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ დამთავრდა. საქართველოს კომუნისტთა ყრილობის მიზანდასახულობათა ხორციელსახმისათვის ზრუნვა, ფიქრი, ბრძოლა და შრომა დაიწყო. კომუნისტთა ამ ფორუმის დელეგატებმა მიღებული დადგენილების სიტყვით კი არა, საქმით განხორციელების სულისკვეთება ყრილობიდან სოფლად და ქალაქად თან გაიყოლეს, რათა მშრომელები დარაზმონ ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად.

დელეგატი საწარმოში დაბრუნდაო, როცა ვამბობთ, ეს ნიშნავს, რომ მან ყრილობაზე თქმული მართალი სიტყვა თანამოსაქმეებს გადასცეს, უნილადოს, აღაფრთოვანოს პარტიის დიდ მიზანდასახულობათა განსახორციელებლად. ამასთან სიტყვისა და საქმის ერთიანობისათვის ყველამ აქედანვე უნდა იზრუნოს, იშრომოს. მათ თავიანთი ყოველდღიური მოქმედებით უნდა დაუმტკიცონ თანამოსაქმეებს, მთელ საწარმოს, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობას, რომ დიდ საქმეს აქედანვე უნდა ჩავუყაროთ მტკიცე საფუძველი.

სოფლად კომუნისტთა მართალ სიტყვას დიდი ძალა აქვს. სოფლის მშრომელს პირუთვნელად უნდა ეუთხრათ ის, რაც ასე გულახდილად ითქვა საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე. ყრილობის მედეგების განხილვის დროს პარტიულ კრებებზე შეულამაზებლად უნდა ითქვას იმ ნაკლოვანებებზე, დამპირნეგებსა და დანაშაულობებზე, რომლებიც სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხდება სოფლად.

ყრილობაზე ნათლად ითქვა, რომ პარტიული, სამეურნეო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში ცენტრალური ადგილი ეთმობოდა პარტიის აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის ღონისძიებებს. მეთერთმეტე ხუთწლედში ქვეყნის სამრეწველო ცენტრებს მილიონ 780 ათასი ტონა სხვადასხვაგვარი სოფლის მეურნეობის პროდუქცია გაეგზავნათ და საგეგმო დავალება გადაჭარბებით შესრულდა. გაიზარდა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია. 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მთლიანი პროდუქციის წარმოების მიხედვით რესპუბლიკამ მტკიცედ დაიკავა ადგილი ქვეყნის მოწინავე რეგიონებს შორის.

ამასთან ერთად აგროსამრეწველო კომპლექსში კიდევ ბევრი გადასაჭრელი პრობლემა გვრჩება. თუმცა დამზადების დავალება სრულდება, მაგრამ სისტემატურად იფუშება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გეგმები. საკმარისი არ არის მიწათმოქმედების კულტურის დონე. არის აღმაფოთებელი უყაირათობის ფაქტები. ჯერ კიდევ მცირეა ხილის, ციტრუსის, თამბაქოს, მზესუმზირას, ბოსტნეულისა და ზოგიერთი სხვა კულტურების მოსავლიანობა. ნელა ინერგება ინტენსიური ტექნოლოგია და შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები.

სერიოზული ამოცანები დგას რესპუბლიკის წინაშე მრავალწლოვანი ნარგავების გაშენებისა და სიმეწყრის ლიკვიდაციის მხრივ. ყოველ წელიწადს ამაზე გაუთავებელი ლაპარაკის დრო ამოიწურა, ბოლოს და ბოლოს სიტყვიდან საქმეზე, რეალურ საქმეზე უნდა გადავიდეთ. არ არის იმ სახლრების სათანადო უკუგება, რომლებიც მეცხოველეობის განვითარებას ხმარდება, მეირეა პროდუქტიულობის მაჩვენებლები, არ შეიმჩნევა ძირეული გარდატეხა სანაშენე საქმეში, ზოოვეტერინარულ მომსახურებასა და საკვებწარმოებაში. ხუთწლედის მანძილზე დიდი სიმძლავრეები ამოქმედდა, მაგრამ ხორცისა და რძის წარმოება საზოგადოებრივ მეურნეობებში ნელა იზრდება.

ჩვენი რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების კონცეფცია, ითქვა ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში, ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ჩამოყალიბდა. იგი ძალაში რჩება შეთორმეტე ხუთწლედისათვისაც. ეს არის, ჯერ ერთი, ის, რომ უპირატესი ტემპით განვავითაროთ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგები, რომლებსაც დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში და არსებითის როლს ასრულებენ რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის გადიდებაში; მეორე — მაქსიმალურად ეზარდოთ ძირითადი სურსათ-სანოვაგის წარმოება ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. უწინარეს ყოვლისა, ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ რესპუბლიკისათვის სოფლის მეურნეობის ისეთი ტრადიციული დარგის აღმავლობის მიზნით, როგორიც შეეკუნახოობაა, განსაკუთრებით საზოგადოებრივ მეურნეობებში, მაქსიმალურად უნდა გავადიდოთ სუფრისა და უნიკალური ჯიშის ყურძნის ნაკუნაკე ფართობები.

დიდი პრობლემაა გადასაწყვეტი მეფლეობაში, მეციტრუსეობაში, ბარკეული მეცადინეობის მიუხედავად, გადაუწყვეტელი დაგვრჩა ჩაის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა. რესპუბლიკის სახაგრომრეწვა უნდა იხელმძღვანელოს საკავშირო მთავრობის დადგენილებით, რომელიც სამამულო ჩაის პრესტიჟის აამაღლებას ითვალისწინებს. ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა განვახორციელოთ ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების საქმეში, მოვაწესრიგოთ საკონსერვო მრეწველობის მუშაობა.

სოფლის მშრომელებმა ახალი ხუთწლედის პირველ წელს იკისრეს სოციალისტური ვალდებულებები; სოფლის მეურნეობაში 4,3 პროცენტით გაზარდონ პროდუქციის მოცულობა და 4,7 პროცენტით — შრომის ნაყოფიერება. გადაჭარბებით შეასრულონ საგეგმო დავალებანი და დაამზადონ 101 ათასი ტონა მარცვლეული, 190 ათასი ტონა კარტოფილი, 610 ათასი ტონა ყურძენი, 560 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 170 ათასი ტონა ციტრუსი, 455 ათასი ტონა ხილი, 174 ათასი ტონა ხორცი, 290 ათასი ტონა რძე, 3,5 ათასი ტონა მატყლი, 557 მილიონი ცალი კვერცხი და სხვა.

ამ დიდ მიზანდასახულობათა განხორციელების შემოქმედი სოფლად კომუნისტები, ჩვეულებრივი, შრომისმოყვარე ადამიანები — კოლმეურნეები, ხაბჭოთა მეურნეობის მუშები, სპეციალისტები არიან. მათი მუშაობა ადგილებზე გონივრულად უნდა წარმართონ სოფლის ხელმძღვანელებმა. მარშან სექტემბერში ცელინოგრადში გამართულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე ითქვა, რომ „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ხელმძღვანელები, მართლაც რომ, ჩვენი კადრების ოქროს ფონდს შეადგენენ. საჭიროა დიდად ვიფუსაფხულოთ და ვამაღლებდეთ თავმჯდომარისა და დირექტორის ძნელი მუშაობის ავტორიტეტს, რათა ყოველ რაიონში, თითოეულ ოლქში, მხარეში, რესპუბლიკაში ყალიბდებოდეს „მტკიცედებოდეს მეურნეობების ხელმძღვანელთა კადრების სტაბილური კორპუსი“. ახლა სოფლად იმართება კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების საანგარიშო კრებები. ამ კრებებზე მარტო იმაზე კი არ უნდა იყოს მსჯელობა, რამდენი რამ მოგვყავს, არამედ იმაზე, თუ როგორ მოგვყავს, რა დაგვრჩა გაუკეთებელი, როგორ შეიცვალა შრომამ საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკა, როგორ გაახარა სოფლის მუშაკები და უფრო დიდ საქმეთა გასაკეთებლად როგორ წაახალისა, ენერგია შეამატა.

საზოგადოებრივ მეურნეობებს უნდა უძღვებოდნენ სოფლის ნამდვილი მოჯირნახულე ადამიანები, ისეთები, როგორიც საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე წარმოჩინდნენ: ზუგდიდის რაიონის კახათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ჯ. გუფუნია, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატები — წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. ჭანტურია, ნიოლელწყაროს რაიონის სამთაწყაროს მეურნეობის დირექტორი ბ. გოგნაშვილი, საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. თედიაშვილი და სხვები. ახალ ხუთწლედს თავისი ახალი გმირები ჰყავს და სწორედ მათ უნდა თქვან ახალი, ნათელი სიტყვა უხმაროდ, პარადულობის გარეშე.

მაგრამ სოფელი ხომ მაინც რიგითი, გამრჯე და გონიერი ადამიანებით არის ძლიერი. ეს ისინი არიან, ვისაც საერთო, საზოგადო საქმიანობა პირადულზე წინ დაუყენებია და სოფლის სიკეთისათვის თავაუღებლად შრომობენ და ზრუნავენ. რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმზე მათ თავიანთი ახალი სიტყვა ანლებურად თქვეს, თავიანთი პოზიციაც ნათელყვეს. რუტინის წინააღმდეგ შემტევ მათს პოზიციას მხარი უნდა დაუჭიროთ, ერთხელ და სამუდამოდ გზა უნდა დაუბნოთ მანკიერ მოვლენებს სოფლის მეურნეობაში.

საზოგადოებრივ მეურნეობათა საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მძაფრად უნდა იგრძნობოდეს საქართველოს კომუნისტთა ახლახან დამთავრებული ყრილობის სულისკვეთება, საზოგადოებრივი საქმისადმი სიყვარული, ერთგულება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავგმოთ ისეთი მცდარი პრაქტიკა, როცა საზოგადოებრივ მეურნეობათა წარმატებების თავაკრიტიკულად სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებას ეიგნორებენ. სხვა არა იყოს რა, ასეთი პრაქტიკა სოფლის ხელმძღვანელთა გულდამშვიდებას, გულარხეინობას, პირადულობას იწვევს. ამ ბოლო დროს ცხოვრებამ დაადასტურა, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის ეს მიუღებელი და დანაგმობილია. შრომა, საერთო საქმის აღმასვლისათვის თავდადებული შრომა! — აი, რა არის ახლა მთავარი.

ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲗᲐᲜ ᲭᲘᲓᲘᲚᲨᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ვახტანგ არაბიძე. Ვ. ᲒᲔᲜᲖᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ფეროშენადნობთა ქარხანა შრომის გმირების „საბადოა“.

რეკორდებთან ჭიდილი გრძელდება. ქვეყნის კომუნისტთა დიდი ფორუმისათვის მზადების პერიოდში კვლავ პირველობს №26 სადნობი ღუმელის ბრიგადა, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, შრომითი დიდების მესამე და მეორე ხარისხის ორდენოსანი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი ვახტანგ არაბიძე ხელმძღვანელობს.

სიხარულით შეხვდნენ ყრილობიდან დაბრუნებულ ვახტანგს ბრიგადის წევრები, ქარხნის მთელი კოლექტივი. გაუზიარა რა ამხანაგებს თავისი შთაბეჭდილებები, ბრიგადირმა განაცხადა. — ძალიან დიდი პატივი დამდეს, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატად ამირჩიეს, ეს ხომ ჩემი ბრიგადისა და, საერთოდ, მთელი ქარხნის კოლექტივის აღიარებაა. ახალი სურვილები და გეგმები დამებადა. მწამს, მჯერა, რომ მეტის გაკეთებას შევძლებთ. აზლებურად უნდა შეიხედოთ ბევრ რამეს, უნდა უკუვაგდოთ მუშაობის ზოგიერთი დრომოჭმული მეთოდები.

ბრიგადის წევრებმა ერთხელ კიდევ გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და, მიუხედავად დაძაბული საწარმოო გეგმებისა, გადაწყვიტეს ორი თვის დავალება სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შესასრულონ, 25 თებერვალს დაზოგილი მასალებითა და ელექტროენერგიით იმუშაონ. ხელმძღვანელის მოსკოვში ყოფნის პერიოდში ბრიგადის წევრები მის ყოველდღიურ ნორმებსაც შეასრულებენ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐ ᲒᲕᲘᲡᲛᲝᲑᲡ

ᲔᲛᲒᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲔᲐᲕᲔᲯᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ მშრომელებმა გადაწყვიტეს სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილი შაბათობა გადააქციონ შრომის უდიდესი ნაყოფიერების დღედ. ამ დღეს გამოუშვებენ 142 ათასი მანეთის პროდუქციას.

გაერთიანებაში შრომობს 1300 კაცი. მათ გამოხატეს მზადყოფნა მონაწილეობა მიიღონ შაბათობაში. შეასრულონ ცვლის ერთ-ნახევარი ნორმა — ასეთი ვალდებულება იკისრა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ლ. სეთურმა. კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. პეტრიაშვილმა გადაწყვიტა არ ჩამორჩეს მგგობარს.

ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲔᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ

ᲡᲙᲙᲞ XXVII ყრილობის აღსანიშნავი საკავშირო კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ ქვეყნის მოწინავე საწარმოთა მოწოდებას ერთხმად დაუჭირა მხარი სოხუმის საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკის“ კოლექტივმა.

აქ გამართულ მიტინგზე გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

— ჩვენი ამწყობთა კომპლექსური ბრიგადა, — თქვა მისმა ხელმძღვანელმა კ. შალდუგამ, — ამზადებს საკითხავ-პირისგადამღებ ორიგინალური კონსტრუქციის აპარატებს. ბრიგადის ყველა წევრმა გადაწყვიტა შრომის დღესასწაულის დღეს ცვლის დავალება 105 პროცენტით შეასრულოს.

მოწინავეთა მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ საწარმოს ყველა ქვეგანაყოფი. შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 1300 კაცი, რომლებიც ათიათასობით მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ. ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ ოთხი ათას მანეთზე მეტს.

XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

[illegible]

ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘ ᲛᲝᲕᲧᲐᲕᲗ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ერთი დღითაც არ წყდება შრომის ტემპი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტისა და ექსპლოატაციის პარკებში. იანვრის პირველ ნახევარში არსებული 462 ტრაქტორიდან საგაზაფხულო სამუშაოთა მაღალ დონეზე შესრულებისათვის მზად იყო მანქანების 91 პროცენტი.

ტექნიკის საგაზაფხულო შეკეთების სამუშაოები განსაკუთრებით ხარისხიანად და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ცხინვალის რაიონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტისა და ექსპლოატაციის პარკის ნახელოსნოებში, რომლებმაც საგეგმო 120 ათასი მანეთის ნაცვლად შეასრულეს 130 ათასი მანეთის სარემონტო სამუშაოები.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელების თათბირი, რომელზეც განსაზღვრეს საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებთან, სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების დარაზმვასთან დაკავშირებული უპირველესი ამოცანები.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნეს, რომ ჟურნალისტებმა უნდა გაზარდონ გამოსვლების აქტუალობა, კონკრეტულობა, ქმედითობა, აამაღლონ იდეურ-შინაარსობრივი დონე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური მშენებლობის, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული პროგრესის იმ მთავარი საკითხების გამო, რომლებსაც თვალსაწინონებს საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მეთორმეტე ხუთწლედისათვის გამიზნული პროგრამა. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს წარმოების ინტენსიფიკაციის, მეცნიერების მიღწევებისა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერების, მართვის მექანიზმის სრულყოფის, მუშაობის სტილის ძირეული გაუმჯობესების, ადამიანების იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის პრობლემათა გადაჭრის იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლის გადიდების ამოცანებს.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა დამაჯერებელი პროპაგანდა გაუწიონ შრომითი კოლექტივების მოწინავე გამოცდილებას, საუკეთესო მშრომელების დადებით მაგალითს, მათ მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ თვისებებს, რომლებიც რესპუბლიკის დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველი, ეკონომიკის ინტენსიფიკაციის მთავარი ფაქტორია. აღინიშნა, რომ მასობრივი ინფორმაციის ორგანოებმა უნდა გააძლიერონ შეტევა სოციალისტური დისციპლინისა და ორგანიზებულობის ყველგან განმტკიცებისათვის, რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში ანტისაზოგადოებრივი, სოციალისტური ცხოვრების წესისათვის უცხო გამოვლინებების დაძლევისათვის ბრძოლაში.

სკკპ XXVII ყრილობის წინ რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის ორგანოების პასუხსაგები მისიაა ფართოდ, კონკრეტულად, პარადულობისა და ხმაურის გარეშე გაუწიონ პროპაგანდა პატრიოტულ ინიციატივებს, დამკვრელურ ვახტებს, რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების ნოვატორულ ძიებას, საქართველოს კომუნისტთა მისწრაფებას რეალური საქმეებითა და მიღწევებით შეეგებონ ლენინური პარტიის უმაღლეს ფორუმს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ეფექტიანობის გადიდებისათვის გამიზნულ ღონისძიებათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება მიწოდების დისციპლინის განმტკიცებას. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტი თვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის განვითარებასა და სრულყოფას, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის უშუალო და სანარძლივი სამეურნეო ურთიერთობის დამყარებას. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია, რომ ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის რაციონალური გამოყენების, ამასთან რესურსდამზოგავი ტექნოლოგიებისა და ეკონომიურ სახეობათა პროდუქციის დანერგვისადმი კონტროლის ყველა ღონისძიების განხორციელებისათვის მთლიანად უნდა აგოს პასუხი სახმომარაგებამ. იმის შესახებ, თუ რა როლი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ მომარაგების ორგანიზაციებს საწარმოების მიერ პროდუქციის მიწოდების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სახალხო მეურნეობის შეუფერებელი უზრუნველყოფის, მათი რაციონალური გამოყენების გეგმების შესრულებისათვის, საქონფორმის კორესპონდენტს რ. დავიდოვს ესაუბრა საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარე ᲝᲗᲐᲠ ᲫᲕᲘᲚᲘᲗᲐᲘᲐ.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ

— თითოეული სამრეწველო საწარმო ერთდროულად მიმწოდებელიც არის და მომხმარებელიც, — თქვა ოთარ ქვილითაიამ. ამიტომ, როცა ერთ-ერთი მომთხოვნე ვერ ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს, ჯაჭვური რეაქციის მსგავსად, აუცილებლად ძნელ მდგომარეობაში აყენებს სხვა შრომითს კოლექტივებს. მიწოდებათა ჩაშლას მოჰყვება წარმოების რიტმულობის დარღვევა, ადამიანებისა და მოწყობილობის მოცდენა, ავარალები და ეერიშობანა, ზეგანაკვეთური სამუშაოები. ზოგიერთი ხელმძღვანელი, მიმწოდებელთა იმედი რომ არა აქვს, ხშირად შიშობს კიდევ მიიღოს გადიდებული გეგმები, ცდილობს დამალოს საწარმოო რეზერვები. ყოველივე ეს დიდ ზარალს აყენებს არა მარტო ცალკეულ საწარმოებს, არამედ მთელ სახალხო მეურნეობასაც.

სასახარულოა, რომ ეს უბრალო ჭეშმარიტება ახლა უკვე სულ უფრო მეტ სამეურნეო მუშაკს ესმის. პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ისინი ბევრ რამეს აკეთებენ, რათა განუხრელად დაიცვან სახელშეკრულებო ვალდებულებანი, გაზარდონ ამ საქმეში სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების პასუხისმგებლობა. ამას მოწმობს იმ საწარმოთა რიცხვის გადიდებაც, რომლებიც დროულად ასრულებენ მომიჯნავეებთან დადებულ ყველა ხელშეკრულებას და დაკლებული პროდუქციის მოცულობის შემცირებაც. მაგალითად, შარშან მეოთხედით შემცირდა 1984 წელთან შედარებით იმ საწარმოთა რაოდენობა, რომლებმაც ვერ შეასრულეს სახელშეკრულებო ვალდებულებანი, 100 მილიონი მანეთითა და მეტით იკლო უკმაყოფილებელი პროდუქციის მოცულობამ.

სახმომარაგება და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის. საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების მიერ სახელშეკრულებო, საგეგმო და საფინანსო დისციპლინის დაცვისადმი კონტროლის კოორდინაციის მიზნით უკვე მეოთხე წელია რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტთან ერთად ვადგენთ მიმწოდებელი სამრეწველო საწარმოების შემოწმების გეგმა-გრაფიკებს. ამ გრაფიკებს მკაცრად ვიცავთ. შემოწმების შედეგებს, როგორც წესი, განვიხილავთ სახმომარაგებისა და სახალხო კონტროლის კომიტეტის კოლეგიის სხდომებზე, რომლებზეც ვისმენთ ჩამორჩენილი ან იმ საწარმოების ხელმძღვანელთა ანგარიშებს, რომლებმაც დაუშვეს დარღვევა.

მიწოდებისადმი კონტროლი არ ამოიწურება დადებითი და უარყოფითი ფონდების ფიქსირებით. იგი უწინარეს ყოვლისა მიზნად ისახავს, რომ განვამტკიცოთ საქმიანი კონტაქტები მიმწოდებელ საწარმოებსა და პროდუქციის მომხმარებლებთან, ადგილებზე შევისწავლოთ ვალდებულებათა შესრულებლობის ნამდვილი მიზეზები, კონკრეტული დახმარება გავუწიოთ რესურსების უზრუნველყოფისა და მზა პროდუქციის გაგზავნის საქმეში.

ზშირად ბევრ ძნელ საკითხს ვწყვეტთ ჩვენ მიერ დაწესებულ „მომხმარებლის დღეს“, რომელშიც მონაწილეობენ სახმომარაგების ხელმძღვანელები და სპეციალიზებული სამმართველოების უფროსები.

— თქვენი აზრით, რა უნდა იღონონ უმჯობესად საწარმოთა კოლექტივებმა, რათა მიწოდების ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით გაზარდონ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა?

— მომხმარებელთა საჭიროებანი უნდა დაკმაყოფილდეს არა მარტო მთლიანი პროდუქციის, არამედ კონკრეტული ნაწარმის მიწოდებით. ცხოვრება დაჟინებით მოითხოვს ყოველმხრივ განვავითაროთ მომიჯნავე კოლექტივების საქმიანი თანამშრომლობა, განვამტკიცოთ მიწოდების დისციპლინა, გავზარდოთ სამეურნეო ხელშეკრულებათა როლი და ავტორიტეტი.

რესპუბლიკის მრავალი შრომითი კოლექტივი ბოლო დროს უკეთ ასრულებს მიწოდების ვალდებულებებს, განამტკიცეს მომიჯნავეებთან სამეურნეო ურთიერთობა, იბრძვიან ნედლეული და სხვა რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის. მათ შორის არიან საწარმოო გაერთიანება „საქსამთავმომრეწვი“, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა, ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათაშენებელი ქარხანა, ბათუმის ქარხანა „ყოფმანქანა“, სოხუმის გაზის აპარატურის საექსპერიმენტო ქარხანა და სხვები. ერთ-ერთ ყველაზე საიმედო პარტნიორად მომიჯნავეებს სამართლიანად მიაჩნიათ თბილისის ქარხანა „მიკროძრავის“ კოლექტივი. ამ საწარმოს ადმინისტრაცია და პარტიული ორგანიზაცია კოლექტივს ნიადაგ მიზნად უსახავს იმას, რომ თითოეული გრძნობდეს პასუხისმგებლობას მომხმარებლის წინაშე. ამ გულდასმით ანალიზებენ პროდუქციის გამოშვების ყოველი შეყ

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებთან გაკეთებულ

თ. ვ. კუნჭულია,

საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი

მახარაძის რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი პრინციპულ შეფასებას აძლევენ იმ ნეგატიურ მოვლენებს, რომლებმაც თავი იჩინა უახლოეს წარსულში ჩვენს რაიონში და შავ ლაქად მოეცხო რესპუბლიკის მთელ პარტიულ ორგანიზაციას. გვიმძიმს იმის შეგნება, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკომპრომისო ბრძოლაში, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინათ წეს-რიგისა და დისციპლინის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ბოლო პერიოდში ახალი ძალითა და განსაკუთრებული აღმავლობით გაჩაღდა, ჩვენ აღმოვჩნდით პასიური მეთვალყურეების როლში, ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელი კი მხილებულია სამარცხვინო საქციელში.

ჩვენ უნდა დავუბრუნოთ მშრომელებს, კომუნისტებს რაიონული პარტიული ორგანიზაციის რწმენა. შექმნილი სიტუაცია მე, როგორც პარტიის რაიკომის მდივანს, ყველა კომუნისტს უაღრესად დიდ მოთხოვნებს გვიყენებს. ყოველმა ჩვენგანმა მეტი შეფიერებლობა უნდა გამოიჩინოს ნაკლოვანებებისადმი. უწინარესად პრაქტიკულად უნდა განვახორციელოთ რაიონული პარტიული ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ვრცელი პროგრამა ჩვენი რაიონის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილების განხორციელებისათვის.

XXXV რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, მანამდე კი რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიის მახარაძის რაიკომის მუშაობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხილვამ კიდევ უფრო მკვეთრად გამოავლინა ჩვენს მუშაობაში დაშვებული სერიოზული შეცდომები და მათი წარმომშობი მიზეზები. შემდგომმა მოვლენებმა (ცხადყო, რომ დროულია ეს დადგენილება და სწორად პარტიის რაიკომის მუშაობის ნაკლოვანებათა მწვავე შეფასება.

ვითვალისწინებთ რა წარსულის გაკვეთილებს, დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ კადრების სწორ შერჩევას, განაწილებასა და აღრდას. ჩვენ შეურიგებლად ვიბრძოლებთ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს გვიშლის მუშაობასა და ცხოვრებაში; ყველა უნდა დავარწმუნოთ, რომ არავითარი შეღავათი არ ექნებათ მეკრთამეებსა და სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს, ეგრეთ წოდებულ „ფულიან ხალხს“, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი არასდროს არ გადაუხვევს იმ პრინციპულ პოზიციას, რომელიც დაიკავა ქალაქის ვაჭრობის ხელმძღვანელობის მიმართ, უხეში შეცდომები რომ დაუშვა საკადრო პოლიტიკაში.

ძირშივე მანკიერია, როცა ყოველნაირი ნეგატიური მოვლენის — ლოთობის, მეკრთამეობის, წამატებების წინააღმდეგ ქმედითი ბრძოლის ნაცვლად ხორციელდებოდა უსაფუძვლოდ რეკლამირებული „დიდი მასშტაბის“ ღონისძიებანი, ხმაურისა და ლაყბობის მეტი კი არაფერი კეთდებოდა. ამან შელახა ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტი, შეანელა მებრძოლურობა.

სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში უპასუხისმგებლობამ და უკონტროლობამ ის გამოიწვია, რომ უახლოესი წლების მანძილზე რაიონის წამყვანი დარგი — მეჩაიეობა მნიშვნელოვნად დაქვეითდა. შეუძლებელი გახდება არა მარტო ჩაის ფოთლის დამზადების ზრდა, არამედ დღევანდელი დონის შენარჩუნებაც, ვინაიდან ათეული წლების მანძილზე ჩაის ბუჩქები საზოგადოებრივ მეურნეობათა პლანტაციების სამას ჰექტარზე არ განახლებულა და საჭიროებს ამოძირკვას, 700 ჰექტარზე კი გვაძლევს მხოლოდ 2-3 ტონა საშუალო ჰექტარობრივ მოსავალს, რამდენიმე წლის შემდეგ უვარგისი გახდება კიდევ ასობით ჰექტარი პლანტაცია.

იმის, რაც მახარაძის პარტიულ ორგანიზაციაში მოხდა, ვფიქრობ, უფრო ღრმად აქვს ფესვები, და ესინი უნდა შეისწავლონ ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, რათა მსგავსი რამ არსად და არასდროს აღარ განმეორდეს. საქმე ეხება, უწინარეს ყოვლისა, მრავალი წლის მანძილზე ფესვგადგმულ პრივილეგიური რაიონის სტატუსს, რამაც ხელი შეუწყო უკიბრალურობისა და დაუსჯელობის ატმოსფეროს შექმნას. მეორე, პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობა რატომღაც ტრადიციულად ითვლებოდა „ტრამპლინად“ შემდგომი დაწინაურებისათვის, რამაც განაპირობა კიდევ გარკვეულწილად მოჩვენებითობა, სახალხო მეურნეობის განვითარების საჭირბოროტო პრობლემებისადმი ყურადღების შესუსტება. მესამე, ითვლებოდა, რომ ამ რაიონის მართვა ადვილია. ყოველივე ამან კის გამოიწვია, რომ პარტიის რაიკომის პირველი მდივნის პოსტზე აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც არ იყო მომზადებული ესოდენ მნიშვნელოვანი და უაღრესად პასუხსაგები თანამდებობისათვის. და, ბოლოს, დავიწყებას მიეცა, რომ რაიკომის მდივნის თანამდებობა არჩევითია და ამ საკითხს გადაწყვეტის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ადგილობრივი კომუნისტების, მშრომელების აზრს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების წინანდელ ხელმძღვანელობას რომ ეს პრინციპი დაეცვა, იძულებული იქნებოდა ანგარიში გაეწია რაიონული აქტივის აღშფოთებისათვის, რაც გამოიწვია თვეებშილის ჯერ რაიონის მელანპარაკა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე, რომელიც 1985 წლის ივლისში გაიმართა. მას შემდეგ ექვს თვეზე მეტი ხანი გავიდა, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობამ ამ მიმართულებით ყველა პატიოსანი მშრომელის მოწონება და მხურვალე მხარდაჭერა დაიმსახურა. ეს ტენდენცია კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს ისევე, როგორც დამახინჯებული ფსიქოლოგიის მქონე ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლა, და ამას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს კამპანიის ხასიათი.

მიზდა გამოვხატო ჩემი ამხანაგების ნება და მათი სახელით მხარი დავუჭირო პარტიისა და მთავრობის კურსს, რომლის მიზანია სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა. და ის, რომ გარდაქმნა წარმოებს მშრომელთა ფართო მასების უშუალო მონაწილეობით, ჩვენი დიდი მონაპოვარი, მუშაობის სწორი, ლენინური სტილის გამოხატულებაა.

გ. ი. გუნავა,

საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი

დისციპლინის განმტკიცების კურსმა, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა დადგა 15 წლის წინათ, კონკრეტული გაგრძელება პოვა. ეს გამოვლინდა დღევანდელი, მეტად თავისებური ეტაპისათვის დამახასიათებელი ორი მომენტით: ერთი მხრივ, ეს არის უაღრესად კრიტიკული მიდგომა გაკეთებულის შეფასებისადმი და, მეორე მხრივ, ხელმძღვანელი კომუნისტის, პარტიული მუშაკის პასუხისმგებლობის. შემდგომი გაძლიერება. მშრომელებმა, რომლებმაც სწორად აღიქვეს ერთიცა და მეორეც, პრაქტიკული საქმეებით გამოხატეს, რომ მხარს უჭერენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართულებას. ამის მკაფიო დადასტურება გახდა საყრილობო საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელმაც პრინციპულობის, ურთიერთ მომთხოვნელობის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროში ჩაიარა.

რაიონულ კონფერენციაზე თავის გამოსვლაში სოციალისტურმა შრომის გმირმა მიტროფანე ძიძიგურმა სწორად შენიშნა: „მთელი ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედი უნდა გახდეს დიდი პასუხისმგებლობა და მკაცრი კონტროლი ყველგან და ყველაფერში“. ეს ჭეშმარიტებაა. ეს ერთი ადამიანის აზრი როდია. ეს არის საერთო პოზიცია, ასეთია განწყობილება ძირეულ რგოლებში. სწორედ ხალხს აზრით არის განმტკიცებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიცია მკაცრად მოვაკითხოთ ყველას — რეგიონი მუშაკით დაწყებული და მინისტრით, ცენტრალური კომიტეტის მდივნით დამთავრებული — თითოეული შეცდომისათვის, ნაკლისათვის.

რაიონის მშრომელები ამაყობენ იმით, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულ ისეთ პროგრესულ ძვრებში, როგორიც არის, მაგალითად, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფა, მათი წვლილიცაა. ეს და ბევრი სხვა რამ გახდა მეურნეობის განვითარებაში ჩვენი ძლევამოსილი წინსვლის საწინდარი.

მეთერთმეტე ხუთწლედის განმავლობაში აბაშის რაიონის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. გაიზარდა კოლმეურნეობრივისა და საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობა, შესამჩნევი ძვრები მოხდა მრეწველობასა და სოციალურ სფეროში. მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ პარტიის რაიკომი ყოველთვის რიდი მოქმედებს მიზანმიმართულად და ჯეროვანი სიმტკიცით უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის შრომითი კოლექტივების დარაზმვაში. მხოლოდ ჩვენს ორგანიზატორულ, პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებით შეიძლება აიხსნას, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ერთნაირ პირობებში მყოფ ორ მეურნეობაში შრომითი უკუგება დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაშინ, როცა სოფელ პირველი მაისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში სამარცვლე სიმინდის ჰექტარობრიგმა მოსავლიანობამ შეადგინა 56 ცენტნერი, მეზობელ კოლმეურნეობებში სოფლებში — მარანსა და შრომაში, სადაც პირველადი პარტორგანიზაციები ინერტულობენ, დაბალია საწარმოო და შრომის დისციპლინის დონე, სიმინდის მოსავალმა ჰექტარზე მხოლოდ 34 ცენტნერი შეადგინა. ეს და მთელი რიგი სხვა მაგალითები მოწმობს, რომ მტკიცე ღონისძიებანი უნდა განახორციელოთო, რათა ავამაღლოთ როგორც პარტიის რაიკომის, ისე საბჭოთა ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ავტორიტეტი. პარტიის რაიკომმა და რაიონული საბჭოს აღმასკომმა ხომ არაერთგზის განიხილეს საკითხი იმის შესახებ, რომ იმავე სოფელ მარანში სუსტია საწარმოო დისციპლინა, გავრცელებულია მუქთახორობა, კერძომესაკუთრული ტენდენციები, მაგრამ მდგომარეობა იქ არ შეცვლილა. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველთვის ვერ ვამტკიცებთ ჩვენს გადაწყვეტილებებს ყოველდღიურ ორგანიზატორული მუშაობით, ზოგჯერ სათანადო პარტიულ კონტროლს ვერ ვუწევთ მათ შესრულებას და, მაშასადამე, ვერ ვაღწევთ პოზიტიურ შედეგებს.

რაიონში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ სკკპ რიგებში მიღების დროს უხეში დარღვევები რაიონში გამოავლინა არა პარტიის რაიკომმა, არამედ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ჩვენ უფრო პრინციპული პოზიცია უნდა დავიკავოთ რაიონში ვითარების გაჯანსაღების, მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებში, სოციალური პრობლემების გადაჭრაში, უფრო ყურადღებით შევისწავლოთ შრომითს კოლექტივებში მიმდინარე პროცესები, უფრო გულდასმით შევეშუშაოთ და ოპერატიულად შევასრულოთ მიღებული გადაწყვეტილებანი.

უნდა განვახორციელოთ მტკიცე ღონისძიებანი, რათა აღმოვფხვრათ თვითდამშვიდების განწყობილება, რომელიც დაუფლებია ჩვენს ცალკეულ ხელმძღვანელებს ყველასათვის ცნობილი აბაშის ექსპერიმენტის წარმატებებთან დაკავშირებით. დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად მუშაობის გარდაქმნა სჭირდება არა მარტო რაიონულ რგოლს, არამედ რესპუბლიკურ ორგანოსაც. ადგილებზე რესპუბლიკური რგოლის მუშაკების ჩასვლა მიზნად უნდა ისახავდეს არა მარტო შემოწმებასა და ინსპექტირებას, არამედ კონკრეტულ დახმარებასაც.

ვფიქრობ სერიოზულად უნდა გარდაქმნან მუშაობა ამ მიმართულებებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებმა, განსაკუთრებით საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის განყოფილებამ, რომლის საქმიანობასაც წლების მანძილზე ახასიათებდა სერიოზული ნაკლოვანებანი, ამან კი გარკვეულწილად უარყოფითი გავლენა მოახდინა რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დამკვიდრებაზე. ისიც სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოს განყოფილებებიც არ იძლევიან ადგილებზე მუშაობის კარგ მაგალითს. წლობით ვერ პოულობენ ჩვენთან ჩამოსასვლელ დროს მინისტრები და მინისტრთა მოადგილეები, სამინისტროთა სამმართველოების უფროსები.

პარტიის რაიკომი, როგორც წინათ, განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს სოფლის მეურნეობის განვითარების საპრობლემო საკითხების გადაჭრას. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ჩვენი ერთწლოვანი კულტურების მოსავლიანობის, კონკრეტულად კი სამარცვლე სიმინდის წარმოების შემდგომი გადიდება.

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის წელს ვიპირებთ ვაწარმოოთ 20 ათასი ტონა სამარცვლე სიმინდი, საშუალოდ თითოეულ ჰექტარზე მივიღოთ 50-52 ცენტნერი; საშუალო ნაწილი თითოეულ ძროხაზე გავზარდოთ 2600 კილოგრამამდე, ხუთწლიდის დამლევს — 3000 კილოგრამამდე; ადგილზე მოზარდეულის გამოზრდის გზით აღარ შემოვიყვანოთ პირუტყვი რაიონის ფარგლებს გარეთან. მივაღწიოთ ეკონომიკის შემდგომ გაძლიერებას, მეურნეობის რენტაბელობის გადიდებას.

ვ. რ. ასათიანი,

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი

განვლილი ხუთწლეული იყო ნიჭიერების უოუო აღზევების, რესპუბლიკის ხელოვნები ინტელიგენციის დიდი შემოქმედებითი პოტენციალის საგრძნობლად წარმოჩენის, ქართული საბჭოთა კულტურის საერთაშორისო პრესტიჟის აშკარად ზრდის პერიოდი. ამავე დროს ეს პერიოდი საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავიაზროთ პრობლემები და დაშვებული შეცდომები, მათი დაძლევის გზები. ამ თვალსაზრისით უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმს, რომელმაც განსაზღვრა მოძველებულ შეხედულებათა, დაშტამპულ ორიენტაციათა მკვეთრად გარდაქმნის აუცილებლობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, დელეგატთა გამოსვლებში პროდუქციის ხარისხის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. ცხადია, მხატვრული პროდუქციის ხარისხი ასევე განაპირობებს ჩვენი შრომის საბოლოო შედეგებს. კარგი სპექტაკლი ყოველთვის იწვევს ინტერესს. საინტერესო გამოფენებს, კონკურსებს მაყურებელი არ აკლია. განა ამ ჭეშმარიტებამ არ უნდა გვიკარნახოს აუცილებლობა, რომ ყურადღება გავამახვილოთ ხელოვნების ოსტატთა პროდუქციაზე. ამასთან ამ საქმეში ჯერ კიდევ არ არის დაძლეული მოდუნება ახალი ფორმების ძიებაში, წლობით გამომუშავებული სტერეოტიპი, როდესაც მხოლოდ თემის აქტუალობა განსაზღვრავს მხატვრული ნაწარმოების ღირებულებას. ახლა ხომ თემის აქტუალობა აღარ არის საკმარისი, მას თან უნდა სდევდეს ჭეშმარიტად ზნეობრივი პრინციპების და ესთეტიკური ნორმების დამკვიდრება.

ავიღოთ, მაგალითისათვის, საესტრადო ხელოვნება. მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის საგანგებო დადგენილებისა, ხელოვნების ამ სახეობის განვითარების შესახებ, მთელი სერიოზულობით ვერ მოვეკიდეთ ამ საქმეს, ვერ მოვახდინეთ შესამჩნევი გარდატეხა უკეთესობისაკენ. ყრილობაზე ჩვენ სავსებით სამართლიანად გაგვაკრიტიკეს ამ-სათვის დღეს.

დროის მოთხოვნა უეჭველს ხდის კულტურის სასწავლო დაწესებულებებში კადრების მომზადების საკითხის სრულყოფას რესპუბლიკაში არსებული რეალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით, მთელი სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფას. ამასთან ჩვენ არ უნდა დაველოდოთ ტალანტების გამოჩენას, არამედ აღმოვაჩინოთ ისინი, მხარი დავუჭიროთ ყველაფერს, რაც ყურადღების ღირსია.

აუცილებელია პრინციპული შეფასება მივცეთ ისეთ ფაქტებს, როდესაც რეჟისორი, მუსიკოსი, მსახიობი, მხატვარი წლების განმავლობაში არაფერს ქმნის, ინიღბებიან ფრაზებით ხელოვნების სპეციფიკურობის შესახებ, უსაფუძვლო ამბიციებით საზრდოობენ.

მწვავედ დგას საკითხი კულტურის დარგში მომუშავე კომუნისტთა ფუნქციური პასიურობიდან ფუნქციურ აქტიურობაზე გადასვლის შესახებ.

ხაბეიშვილის, ბადურაშვილისა და სხვა ეგრეთ წოდებული ხელმძღვანელების მიერ ჩადენილი დანაშაულობანი გვაიძულებენ პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობით ვუდგებოდეთ კადრების პრობლემას, რომელთაც შეეძლებათ გარდაქმნან კულტურის სფეროში დაგროვილი პრობლემები. საჭიროა დაკვირვებით შეუდგომლად განესახოროს თანამოაზრენი და მოვიშოროთ გზიდან კარიერისტები, მოლაყბენი, რომლებიც თეთრი ხელთათმანებით „მუშაობენ“, მაგრამ ბინძური სული აქვთ.

ჩვენს უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია მნიშვნელოვანი საქმე დავაკისროთ იმათ, ვინც კომპეტენტურად და მართლაც რომ უანგაროდ შეასრულებს თავის მოვალეობას.

ყრილობის გულახდილი ტონი საფუძველს მაძლევს მიუღებლად მივიჩნიო ის უდგილო არაკომპეტენტური „აქტიურობა“, რომელსაც იჩენდა ცენტრალური ფორმირების ბიუროს მართვის ფაზა დაუდგა. ძირითადად უკვე შექმნილია ცენტრალური აპარატი. მისი ყველა რგოლის მართვის წინანდელი რგოლის მუშაკთა რიცხვი 35 პროცენტით შემცირდა, ამასთან, არსებითად გაუდიდათ თანამდებობრივი სარგოები რესპუბლიკური და რაიონული მართვის რგოლების მუშაკებს.

აპარატის სტრუქტურა გამოხატავს პარტიის მოთხოვნებს ინტელიგენციის შესახებ. მის თორმეტ მთავარ სამმართველოთაგან ექვსში თავმოყრილია ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების, რეალიზაციის და გადამუშავების ხელმძღვანელობა.

კომიტეტის ყველა ქვედანაყოფსა და მის სისტემას ემსახურებიან დაგეგმვის, მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, სამეცნიერო და საკადრო უზრუნველყოფის საერთო სამსახურები.

სახაგრომრეწვი უშუალო ხელმძღვანელობას უწევს მეორეული სამრეწველო გადამუშავების მსხვილ საწარმოებს, სხვა საწარმოებს, რომლებიც აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების ტექნოლოგიურ პოლიტიკას განსაზღვრავენ. ხოლო რაიონული აგროსამრეწველო გართიანებებს, ცოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გარდა, ექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პირველადი გადამუშავების კიდევ 800-ზე მეტი საწარმო.

ერთი სიტყვით, მომდინარეობს მართვის ფუნდამენტური გარდაქმნა, რომლის მიზანია ოღიკვეთოს ყველა დაბრკოლება, რომლებიც აფერხებენ შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას, ხელი შეუწყოს სასურსათო პროდუქტებისა და სამრეწველო ნედლეულის წარმოების გადიდებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დ. ლ. ქართველიშვილის მოხსენებაში მოყვანილია შთამბეჭდავი ციფრები, რომლებიც ასახავენ აგროსამრეწველო კომპლექსში პროდუქციის წარმოების ზრდის დაგეგმილ ტემპს. ჩვენ მოვალენი ვართ უზრუნველვყოთ მათი უცილობელი რეალიზაცია ახლანდელი ხუთწლედის პირველი დღეებიდან დაწყებული.

რესპუბლიკის სამეურნეო განვითარების ხასიათის ანალიზური შეფასებიდან, რომელიც სანგარაშო მოხსენებაშია მოყვანილი, ჩანს, რომ ეკონომიკური სექტორისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის კურსს საერთოდ სწორი იყო. ამას მოწმობს მეთერთმეტე ხუთწლედში მიღწეული ზრდის სწრაფი ტემპი. რესპუბლიკის საერთო სამეურნეო წარმატებებში არსებითი წვლილი შეიტანეს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მუშაკებმა. ეს ობიექტურ სამსახავს.

მაგრამ მოხსენების მთავარი ღირსება აშკარა თვითკრიტიკისა და პრინციპული კრიტიკის სულისკვეთება.

უნებლიერთ გვახსენდება ის სამახსოვრო წლები, როდესაც თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილები დასახული ამოცანების გადასაწყვეტად საქართველოს კომპარტიის ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ე. ა. შევარდნაძე.

დიახ, მე მხედველობაში მაქვს პირველი ხელმძღვანელის გადამწყვეტი როლი, მაგრამ ჩვენც ყველანი, ვისაც ხელმძღვანელი პოსტები გვეკავა, თანამიმდევრულად პრინციპული უნდა ვიყოთ.

უნდა ვალიაროთ, რომ მოხსენებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათაგან, დარღვევათა და ბოროტმოქმედებათაგან ბევრი მოდის აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებზე. მაგრამ მთავარია ვხედავდეთ ბოროტების სათავეს და აღარ დავუშვათ ისეთი სიტუაციები, როდესაც კომბინატორები ფართო ასპარეზს პოვებენ ხოლმე. ეს ძნელია, მაგრამ აუცილებელი. არ კმარა გამოვთქვათ აღშფოთება, როდესაც ვხედავთ, რომ საქმე გვაქვს ხეპრესთან, დემაგოგთან ან თაეზედთან, — საჭიროა დაუნდობელნი ვიყოთ მათი შეფასებისას.

მახარაძის რაიონი საქართველოს მაჰაიეობის ფლაგმანია. ბუნებრივია, ჩვენ ვიხილავდით ხოლმე პარტიის რაიკომის პირველ მდივანთან, რაიონის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად ჩაის ხარისხის პრობლემებს. ვუსაყვედურებდით იმის გამო, რომ პერიფერიებში გამოსვლები არათუ ემსახურება ხელოვნების პროპაგანდას, არამედ, პირიქით, მდარე რეპერტუარით და შესრულების ხარისხით მაყურებელთა აღშფოთებასაც კი იწვევს.

ყრილობაზე უსათუოდ უნდა ითქვას ისიც, რომ მიუხედავად მიღწეულისა, კულტურის სფეროს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა უმძიმეს მდგომარეობაშია. ვერ შევეგუებით იმას, რომ 1500-ზე მეტი კულტურის დაწესებულება დაქირავებულ შენობებსა და სრულიად შეუფერებელ პირობებშია.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ქართული საზოგადოებრიობა ზოგჯერ მოკლებულია კულტურის გამოჩენილ ოსტატებთან შეხვედრის შესაძლებლობებს. ამ საკითხს ჩვენ მომავალში დიდ ყურადღებას მივაქცევთ. ჩვენ ყველაც შევუწყობთ ხელს მომძლი რესპუბლიკებთან კავშირ-ურთიერთობის გაღრმავებას, საქართველოში მცხოვრები ხალხების კულტურის აღორძინებას.

ყრილობაზე ჩვენ მოვედით უფრო მეტი სიფიცრით, მოვედით ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში წამოჭრილი პრობლემებისადმი პარტიული, სახელმწიფებრივი მიდგომის აუცილებლობის შეგნებით, საკუთარი ძალებისა და ჩვენი კულტურის შემდგომი აღმავლობის რწმენით.

თავისი გამოსვლის დასასრულს, ვ. ასათიანმა წაიკითხა გამოჩენილი ოსტატის, სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, კომუნისტ უჩა ჯაფარიძის წერილი, რომელმაც ყრილობის მუშაობაში ვერ მიიღო მონაწილეობა ავადმყოფობის გამო. წერილში ნათქვამია:

„საქართველოს კომუნისტების XXVII ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

მე, დღეს პარტიის ვეტერანი და არაერთი ყრილობის დელეგატი, სულითა და გულით თქვენთანა ვარ. ნება მომეცით, ჩემი ხმა შევუერთო საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მონაწილეთა გულისთქმას. მე მჯერა თქვენი პრინციპულობის, შეუდრეკელობის და სიკეთისა.

მთელი ჩემი ცხოვრების გზა განვლე პარტიის იდეალებისადმი ერთგულებით, სამშობლოს სიყვარულის ღირსი რწმენით, აგვაპირებ ცხოვრების გაგრძელებას.

დღეს კი მინდა გაუწყოთ შემდეგი: ჩემი ბინა-სახელოსნო, მთელი ჩემი მონაგარი, შემოქმედებითი ნაღვაწი, ის, რაც შემიქმნია წლების მანძილზე, გადავწყვეტე ჩემს ერს, ჩემს ხალხს, ჩემს საყვარელ თბილისს გადავცე.

ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ ეს ჩემი მოკრძალებული საჩუქარი სარგებლობას მოუტანს ქართული საბჭოთა ხელოვნების მოყვარულთ, განსაკუთრებით ახალგაზრდობას.

ღრმა პატივისცემით თქვენი უჩა ჯაფარიძე“.

კამათი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დ. ლ. ქართველიშვილის მოხსენებებთან „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტის შესახებ“

გ. ა. მეტონიძე,

საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ორი ხუთწლედის მიჯნაზე ყოველ მეურნე კაცს უნებურად ებადება კითხვა, როგორი იყო მისთვის განვლილი პერიოდი, რა ამოცანების გადაწყვეტა მოელის მომავალში. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ქართველი ელმავალმშენებლებისათვის განვლილი ხუთწლედი რთული პრობლემების გადაჭრისა და დაძაბული შრომის, საწარმოს ძირეული რეკონსტრუქციის გაფართოებისა და ტექნიკური განახლების პერიოდი იყო.

საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სომძლავრეები, საფუძველი ჩაეყარა ელმავლების წარმოების შეკრულ ტექნოლოგიურ ციკლს. ხარისხის ნიშნი მიენიჭა ჩვენს ძირითად პროდუქციას — ელ—11 მაგისტრალურ ელმავალს, შეიქმნა ახალი თაობის — ელ—15 ზემძლავრი ორმეტოვრძიანი ელმავალი, რომლის ნიმუშები გამოცდას გადის, მომდევნოს კი სკკპ XXVII ყრილობის გახსნისათვის გამოვუშვებთ.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშაკთა შრომის, დასვენებისა და ყოფის პირობები, მწყობრში ჩადგა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ბევრი ობიექტი. დასაბამი მიეცა საავადმყოფო-პო�nიკლინიკის კომპლექსისა და სასწაული საწარმოო კომბინატის მშენებლობას და, რაც მეტად სასიხარულოა, გაერთიანებას მეთაური ქარხნის წინ გაჩნდა მეტროპოლიტენის კიდევ ერთი სადგური „თემქა“.

ჩვენი საწარმოს წინაშე ახალ ხუთწლედში პასუხსაგები ამოცანები დგას — დავამთავროთ რეკონსტრუქცია, ავითვისოთ ახალი სომძლავრეები, ამავე დროს ჩვენთან ჯერ კიდევ დიდია საწარმოო სიმძლავრეთა მოცდენა მეორე ცვლაში, გვაქვს შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტები. ვერ შევძელით მიგვეღწია გარდატეხისათვის ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაში, მართალია, ახლა ვაწარმოებთ 15 დასახელების ნაწარმს, მაგრამ, არც ერთი მათგანი არ არის, როგორც იტყვიან, პრესტიჟული, ისეთი, როგორიც ეკადრება ისეთ ქალაქს, როგორიც ყოველ ბინაში ერთია.

ამ საკითხებზე მე, როგორც დეპუტატს, წლად მხვდა პატივი ვიფიქრობთ, რომ პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, რესპუბლიკის სხვა ადმინისტრაციული ორგანოები ამიერიდან უფრო აქტიურად გააკონტროლებენ ადგილებზე თავიანთ ორგანოების საქმიანობას.

გვაქვს სხვა ნაკლოვანებებიც. შეუძლებელია არ ვალიაროთ, რომ რაიონში ჩაშლილია ჯანმრთელობის დაცვისა და ვაჭრობის ობიექტების მომარაგება ყვავის პროდუქტებით, განსაკუთრებით ხილითა და ბოსტნეულით. გასული ხუთწლედის არც ერთ წელს არ აგვითვისებია ამ მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრები. მარტო ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებს დაკლდა დაახლოებით 200 ათასი მანეთის პროდუქტები.

რაიონის მშრომელებმა გამოიჩინეს თაოსნობა — უკვე მიმდინარე წლის დამდეგიდან, რაიონისა და ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებანი უზრუნველყონ საკუთარი წარმოების კარტოფილით, ხახვით, კომბოსტოთი, სხვა ბოსტნეულითა და მწვანილით. საზამთროდ მათ შესანახად უკვე შეევარჩიეთ შენობა საწყობისათვის.

ჩვენი ამოცანების შესრულების რეალობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ადგილობრივი და რესპუბლიკური ორგანოების შეთანხმებულ მოქმედებაზეც.

უმწვავეს პრობლემად რჩება მიღებულ გადაწყვეტილებათა ავტორიტეტის საკითხი. აქ არ არსებობს ორი აზრი: ყოველი მიღებული გადაწყვეტილება, დადგენილება უთუოდ უნდა სრულდებოდეს. აი რატომ არის საჭირო, რომ უნდა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა იმ რგოლების ხელმძღვანელებისადმი, რომლებსაც სავალდებულოდ არ მიაჩნიათ დადგენილების შესრულება, განვამტკიცოთ დისციპლინა და ორგანიზებულობა მუშაობის ყველა უბანზე. ეს მიგვაჩნია წარმატებების საფუძვლად და ამას ვესწრაფვით.

ო. გ. ვარძელაშვილი,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე

რესპუბლიკის აგრომრეწვმა პარტიის მიერ ქვეყნის სასურსათო პროგრამის გადასაწყვეტად დასახული ამოცანები უნდა გადაჭრას ახალი, გაუმჯობესებული მმართველობითი სტრუქტურით, იგი, როგორც ნაზგასმით აღნიშნა მეხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1

კამათი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დ. ლ. ქართველიშვილის მოხსენების „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტის შესახებ“

(დასასრული)

ივიწყებენ მეჩაიეობის მთავარ პროდუქციას და ძირითადი ყურადღება გადაეცვათ თანამდევ პროდუქტებზე, გვთავაზობენ სხვადასხვა თხევად თუ მშრალ კონცენტრატებს, ლიმონიანი, რძიანი ჩაის კონცენტრატებს, ჩაის ნარჩენებისაგან დამზადებულ მოსაპრკეთებელ ფილებს და ა. შ. ხოლო ჩვეულებრივი ჩაისათვის მხოლოდ შავად შეღებვა მოიგონეს, რათა უხეში მინარევები არ გამოჩენილიყო. თვლიდშვილმა ამას „რევოლუციური აღმოჩენა“ უწოდა. მიუხედავად ასეთი დემაგოგიისა, ჩვენ ეჭვი არ შეგვტანია მის პატიოსნებაში, იმ დროს, როდესაც იგი თურმე ქრთამებს იღებდა, თანაც დიდ ქრთამებს, სწორედ ჩაის ხარისხის გაუარესების ხარჯზე.

პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველ მდივანს ბუჩუკურს ვარწმუნებდით, კი არ დაეყენებინა საკითხი დამატებითი კაპიტალური დაბანდების შესახებ, არამედ მიეხედა რაიონის ეკონომიკისათვის, რომელიც გაჩანაგების პირას იყო მიყვანილი. მაოცებდა მისი ბრიყვული სიჯიუტე, მაგრამ მაინც არ შემიტანია ეჭვი მის პატიოსნებაში. თურმე სულ ტყუილად — იგი დიდი ინტრიგანი და მექრთამე აღმოჩნდა.

პარტიის თიანეთის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ენტუაური აღშფოთებული მოვიდა ჩვენთან — ეს როგორ ბედავს მინისტრთა საბჭო გააკრიტიკოს რაიონის ხელმძღვანელები მიწათსარგებლობის წესების დარღვევებისათვის, მაშინ, როდესაც რაიონმა მისი ხელმძღვანელობით „დიდ წარმატებებს“ მიაღწია.

მას განუმარტეს, რომ რაიონს არა თუ არა აქვს რაიმე წარმატებანი, პირიქით, იქ კატასტროფულად მცირდება რძის წარმოება და პირუტყვის სულადობა საზოგადოებრივ მეურნეობებში. ხოლო ის, რასაც იგი „წარმატებებს“ უწოდებს, თითქმის იგივეა, რაც პირდაპირი სპეკულაცია მოსახლეობისაგან პირუტყვის შესყიდვის გზით (სხვათა შორის, ამ მხრივ სხვა რაიონებიც სცოდავენ). ქრისტიური ისეთივე თავდაჯერებული წავიდა, როგორც მოვიდა, მაგრამ ჩვენ ეჭვი არ შეგვტანია მის პატიოსნებაში. ახლა კი ვფიქრობ, რომ იგი ასკილის „დამზადებასთან“ დაკავშირებული კომბინაციების არაპირდაპირი თანამონაწილე მაინც არის.

ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, კარგად უნდა გავიკვეთ იმაში, თუ რამდენად აგებენ პასუხს რესპუბლიკური რგოლის ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკები თვით იმის შესაძლებლობის დაშვებაში, რომ საქმოსნებს ჩაედინათ მაქინაციები ჩაის, ასკილის დამზადებისა და სხვა საქმეებში. არ შეიძლება ვაპატიოთ იმათ, ვინც მაქინაციებს სჩადის!

საანგარიშო მოხსენებაში მექრთამეებზე ზედგამოჭრილი სიტყვაა ნახმარი — „მოღალატე“. შეიძლება ამატონ დამარცხებულ აშკარა მტერს, — რუსთაველს ეს აუცილებელ რაინდულ ღირსებადაც მიაჩნდა. — მოღალატენი კი ადამიანთა საზოგადოების ყველა ფორმაციაში ეზიზღებოდათ და მათთვის ყველაზე სამარცხვინო სასჯელის ზომებს მიმართავდნენ. ღალატი როგორც ადამიანური მორალის კატეგორია ყველა „სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით ექვემდებარება იდენტურ შეფასებას. ლაღად აპარპაშო მოღალატე — ნიშნავს უღალატო შენს შვილებს, შენს ოჯახს.

რომ არაფერი ვთქვათ მაღალ პარტიულ იდეალებზე, მექრთამეებს შეიძლება ვუწოდოთ სწორედ მოღალატენი, ერის ინტერესების, ჩვენი შვილების ინტერესების, მომავალ თაობათა ინტერესების მოღალატენი.

ასევე უნდა აღვიქვათ ხაბეიშვილის საკითხი.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ისტორიას ახსოვს მრავალი მაგალითი, როდესაც საქმოსნები, უფრო მეტიც, ჩვენი წყობილების მტრები გამძვრალან ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ასეთი მცდელობა მომავალშიც შეიძლება იყოს. ამიტომ არ უნდა ჩავთვალოთ ისინი რაღაც მოულოდნელად, ზებუნებრივად. მთავარია, დროზე ვამჩნიოთ შემთხვევითი ადამიანები და იზოლაციაში მოვაქციოთ ისინი.

ჩემი გამოსვლის დასასრულს მინდა აღვნიშვნა ყრილობას, რომ საქართველოს სახალრომრეწვის მუშაკები არ დაიშურებენ ძალღონესა და შესაძლებლობებს, რათა განამტკიცონ სახელმწიფო დისციპლინა რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში, გაზარდონ პროდუქციის წარმოება და გაუმჯობესონ მისი ხარისხი.

ბ. ზ. მაყაშვილი,

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სამართლიანად არის გაკრიტიკებული რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო. სამწუხაროდ, დარგმა ყრილობისათვის ვერ შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის საკონტროლო დავალებანი. ცალკეულ სახეობათა პროდუქცია თავისი ხარისხით კონკურენტუნარიანი არ აღმოჩნდა. ამის შედეგად ბევრ საწარმოში შეიქმნა ზენორმატიული ნაშთები და ამან გამოიწვია უმძიმესი ფინანსური სიძნელენი.

კარგად გვესმის, რომ ამ ეტაპზე უმნიშვნელოვანესი პრობლემაა რესპუბლიკის მსუბუქი ინდუსტრიის პრესტიჟის აღდგენა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გზით. ამისათვის ვაპირებთ უსწრაფესად და მთლიანად გადავიყვანოთ სისტემა მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე, ამასთან გავზარდოთ თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა მუშაობის საბოლოო შედეგისათვის. არსებითად ახლებურად უნდა მივუდგეთ ციკლის შემცირების პრობლემას პროდუქციის წარმოებთ დწყებული და მისი რეალიზაციით დამთავრებული. ამისათვის ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო firmის ბაზაზე ხორციელდება სისტემის დახვეწის ექსპერიმენტი, რომელიც უზრუნველყოფს მრეწველობისა და ვაჭრობის ინტერესების ერთიანობას, რაც შემდგომში საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ დარგობრივი სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების შექმნის უფრო მასშტაბური ექსპერიმენტი.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება უწინარეს ყოვლისა იწარმოებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართო დანერგვის საფუძველზე. მაგალითად, მეთორმეტე ხუთწლედში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდიდან გამოვყოფთ ოთხ მილიონ მანეთს. ვაპირებთ დავდგათ 12 ათას ერთეულზე მეტი ახალი მოწყობილობა, დავნერგოთ დაახლოებით 100 პროგრესული ტექნოლოგიური რეჟიმი. ჩვენთვის საჭიროა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კონკრეტული დახმარება ჩვენი სავსებით საფუძვლიანი გასცდადების დაკმაყოფილების ნაწილში.

ჩვენ ბევრს ველით სოციალისტური ქვეყნების საწარმოებთან სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებისაგან.

ყველა ეს საკითხი მეტიდროდ უკავშირდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის 1986-1990 წლებისათვის გათვლისწინებულ განვითარებას და მეთორმეტე ხუთწლედში სამინისტროს მუშაობის მთავარი კრიტერიუმი იქნება.

დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალს საქალაქო და რაიონული პარტიული კონფერენციების მიმდინარეობას, რომლებზეც განსაკუთრებით ბევრი წინადადება გამოითქვა შრომითი კოლექტივების სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ. მიმდინარე ხუთწლედში ამ მიზნებს ვაპირებთ მოვახმაროთ დაახლოებით 32 მილიონი მანეთი კაპიტალდაბანდებანი.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროო სერიოზულად არის შეფასებული იმით, რომ კვლავ გრძელდება საწარმოებიდან მუშაბელის განუწყვეტელი დენადობის პროცესი. სამწუხაროდ, ეს უარყოფითი ტენდენცია არ ასახულა არც ერთ პარტიულ კონფერენციაზე. თუ ჩვენი მრეწველობა არაპრესტიჟულად გამოიყურება მომთხოვნი მყიდველის წინაშე, პრეტენზიების დიდი ნაწილი მოდის კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობაზე. განა შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ ჩვენი საწარმოების ფილიალები ლენინგორში, ბოგდანოვკაში, ყვარელში ერთ ცვლად მუშაობენ, მაშინ როცა თავის დროზე მათი გახსნა დასაბუთებული იყო სწორედ იქ შრომითი რესურსების სიჭარბით. საჩხერის ბამბის სართავი ფაბრიკის მშენებლობა 30 მილიონი მანეთი დაჯდა, მაგრამ მისი ამოქმედების დაწყებისთანავე აქ წამოიჭრა მუშებით მისი დაკომპლექტების სერიოზული პრობლემები. გარდა ამისა, სხვადასხვა საზოგადოებანი, რომლებიც მოწოდებული არიან თავიანთი საქმე აკეთონ, შეუდგნენ ჩვენი ანალოგიური პროდუქციის გამოშვებას. მაგალითად, დღეს რესპუბლიკაში ფეხსაცმელს უშვებს 13 უწყება, ანალოგიური მდგომარეობაა სამკერვალო და ტრიკოტაჟის ნაწარმთან დაკავშირებითაც.

განა არ დადგა დრო, ბოლო მოეღოს ყოველივე ამას?

ჩვენ გვაღელვებს დარგის ისეთი დიდი საწარმოების არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობა, როგორიც არის ქუთაისის აბრეშუმის, გორის ბამბეულის, თბილისის აბრეშუმის გაერთიანებები. დღეს მათი განახლება დიდ დანახარჯებს მოითხოვს. მაგალითად, სამინისტროსათვის გამოყოფილი 300 მილიონი მანეთი მეთორმეტე ხუთწლედში მოხმარდება არა სამრეწველო პროდუქციის მატებას, არამედ ავარიული სიტუაციების ლიკვიდაციას. პირდაპირი პასუხისმგებლობა ამისათვის სამინისტროს ეკისრება.

კადრები ყველაფერს წყვეტენ. მათს საქმიან და მორალურ თვისებებზეა დამოკიდებული ყოველი საქმის წარმატება. ჩვენთან კადრები ხშირად ნაჩქარევად აირჩევდნენ. ამის მაგალითია თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ ყოფილი გენერალური დირექტორი წოწორია, ქუთაისის ნ. ლაკობას სახელობის ტრიკოტაჟის ფაბრიკის ყოფილი ხელმძღვანელობა.

მაგრამ კიდევ უფრო დიდი სინინელეაა ის, როცა უპატიოსნოები აღმოჩნდებიან ხოლმე, როგორც იტყვიან, „დიდ საჭესთან“ მყოფი ადამიანები, მაღალი რანგის ხელმძღვანელები, ფართო უფლებები და უფლებამოსილებანი რომ აქვთ მინიჭებული. რესპუბლიკაში ბოლო დროს აღმოჩენილნენ უპრეცედენტო ფაქტებმა შეუძლებელია არ აღაშფოთოს თითოეული ჩვენგანი, ისინი გვაიძულებენ ბევრ რამეს ჩავუფიქრდეთ.

მსუბუქი მრეწველობის მინისტრად მეზუთე თვეა ვმუშაობ. არცთუ ისე დიდი ვადაა, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ გარკვეული დასკვნები გამომეტანა. ვფიქრობ, რომ უწინარეს ყოვლისა უნდა გარდაქმნას სამინისტროს ამარატის მუშაობის სტილი. ინერციით მუშაობის ჩვევა, სტერეოტიპული აზროვნება, დამოუკიდებლობის უქონლობა ცხადყოფს, რომ ძირეულად უნდა გარდაქმნას ფსიქოლოგიური განწყობა და მუშაობისადმი დამოკიდებულება.

ჩვენ კონკრეტული დახმარება გვესაჭიროება. იმის გამო, რომ რესპუბლიკის ეკონომიკაში მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი აქვს, ჩვენ წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრა მოითხოვს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის უშუალო და მუდმივ მონაწილეობას.

ხუთი თვის განმავლობაში ბევრი კრიტიკა მოვისმინეთ. მაგრამ სამინისტრო ზომ საკონტროლო დავალებებს არ ასრულებდა გასული ხუთწლედის დამდეგიდანვე. არ გვახსოვს, რომ ეს საკითხი ოდესმე ისე მწვავედ მდგარიყო, როგორც დღეს დგას.

ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ჩაიფუშვინეს მშენებლებს გეგმები სამინისტროს ობიექტებზე, რატომ ამბობს ვაჭრობა უარს ჩვენს პროდუქციაზე, მაშინ როცა ასეთივე სხვა რესპუბლიკებიდან შემოაქვს.

ერთი სიტყვით, პრობლემა ბევრი გვაქვს. დიდი მუშაობა მოგვიწევს. ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა ვიყოთ იმ მოთხოვნათა დონეზე, რომლებსაც ჩვენ გვიყენებენ.

გ. ბ. ქაშაკაშვილი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი

საანგარიშო მოხსენებაში სამართლიანი კრიტიკა იყო გამოთქმული რესპუბლიკის შავი მეტალურგიის საწარმოთა მიმართ, რომლებმაც გასულ ხუთწლეულში შეანელეს განვითარების ტემპი. სამწუხაროდ, ამისათვის მნიშვნელოვანწილად ბრალი გვიდგება უშუალოდ ჩვენ, რუსთაველ მეტალურგებს.

ჩვენ ხარვეზები დავუშვით განვითარების პერსპექტივის განსაზღვრაში, შევასუსტეთ დისციპლინა, კოლექტივში არაჯანსაღი ატმოსფერო შეიქმნა. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ცალკეული საამქროებისა და აგრეგატების რეკონსტრუქციას, მათი სიმძლავრეების გადიდებას 200 მილიონამდე მანეთი მოვახმარეთ, მაგრამ ამ ღონისძიებებმა ვერ მოგვცა მოსალოდნელი შედეგები. ჯეროვან სიმაღლეზე არ აღმოჩნდა ჩვენი პარტიული ორგანიზაციაც, რომლის მუშაობაში მკაფიოდ იგრძნობოდა თვითდამშვიდება, მიღწეულით დაკმაყოფილება. ამის შედეგად ხუთწლედის საკონტროლო ციფრებისაგან ჩამორჩენამ ფულადი გამოხატულებით თითქმის 75 მილიონი მანეთი შეადგინა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო იძულებული გახდნენ საქმეში ჩარეულიყვნენ. განხორციელდა დიდი მუშაობა და დღეს რუსთაველ მეტალურგებს ყველა საფუძველი აქვთ აღნიშნონ დადებითი ძვრები.

ქარხანა უკვე მყარად მუშაობს, მთლიანად და გადაჭარბებით სრულებს მთლიანი პროდუქციის გამოშვების საეგმო დავალებებს, იზრდება თუჯის, ფოლადის, ნაგლინისა და მილების წარმოება, უზრუნველყოფილია საექსპორტო მიწოდება, უმჯობესდება სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც. გავაძლიერეთ ყურადღება პროდუქციის ხარისხისადმი. უფრო რაციონალურად ვიყენებთ სათბობ-ენერგეტიკულ და მატერიალურ რესურსებს.

განუხრელად უმჯობესდება კოლექტივის სოციალური პირობები: იზრდება საშუალო თვიური ხელფასი, წარმატებით სრულდება საბინაო მშენებლობის პროგრამა, მიმდინარეობს ქარხნის საერთო საცხოვრებლისა და სასადილოების, სტადიონისა და მეტალურგთა კულტურის სასახლის კეთილმოწყობა.

რუსთაველ მეტალურგიული ქარხანა ხშირად გაუკრიტიკებიათ ტექნიკური განახლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის დაჩქარების საკითხებში ხარვეზებისათვის. კრიტიკა ობიექტურია. „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების“ პროექტით გათვალისწინებულია მეთორმეტე ხუთწლედში ქარხნის რეკონსტრუქცია დავიწყოთ ელექტროფოლადსადნობის საამქროს შენებლობით. ამასთან, ჩვენი აზრით, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ეს შენებლობა განხორციელდეს არსებული კოქსქიმიური საამქროს ადგილას, რადგან ეს უზრუნველყოფს კაპიტალდაბანდებათა უფრო ეფექტიან გამოყენებას, გააუმჯობესებს შრომისა და გარემოს დაცვის პირობებს. გარდა ამისა, რეკონსტრუქცია საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გავზარდოთ წარმოების ტექნიკური დონე და გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი.

ელექტროფოლადსადნობ წარმოებაზე გადასვლა მკვეთრად გაზრდის ელექტროენერგიის მოხმარებას. ჩვენ, რა თქმა უნდა, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროში ვეცდებით მივაღწიოთ, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ საკუთარი ელექტრომეურნეობა, მაგრამ ეს ვერ დაამყაროფილებს ქარხნის მოთხოვნილებებს. ამასთან დაკავშირებით ჩემთვის გაუგებარია, რატომ ჭიანურდება საქართველოს ატომური ელექტროსადგურის შენებლობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაცია. ვფიქრობ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ უნდა გააძლიერონ ამ მიმართულებით მუშაობა.

რაკი ენერგეტიკის პრობლემებს შეეხეს, მინდა ამავე დროს განვაცადოდო, რომ რუსთაველი მეტალურგიები მთლიანად გრძნობენ თავიანთ პასუხისმგებლობას ქვეყნის მენავთობეთა წინაშე. ჩვენ გარანტიას ვიძლევით, რომ შეასრულებთ ყველა დავალებას ნავთობგაზმომპოვებელი დარგისათვის. მათ შორის ტიუმენისთვის.

ქარხნის რეკონსტრუქციისათვის ნავარაუდევია 700 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალდაბანდების გამოყოფა. გარდა ამისა, მიმდინარე ხუთწლედში უნდა აშენდეს 100 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, მედსანნაწილი, საერთო საცხოვრებელი, პროფტექნიკური სასწავლებელი, სკოლა, ჩვენი აზრით, რუსთავის რეგიონში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საკუთარი ბაზა საკმარისად არ არის მომზადებული. მშენებლობის მინისტრს ამხ. ი.ა. ხარატიშვილს ვთხოვთ განიხილოს ეს საკითხი.

არ შემიძლია არ შეეხეთ აგრეთვე ქარხნისათვის მწვავე პრობლემას — ახალგაზრდა სპეციალისტებთ მისი უზრუნველყოფის პრობლემას. ახალი ძალების მოუსვლელად წარმოუდგენელია წინსვლა. პროგრესული ტექნოლოგიისა და რთული ტექნიკის გამოყენება კვალიფიციური კადრების გარეშე შეუძლებელია. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატთან ერთად ვცდილობთ მომავალი ინჟინერ-მეტალურგები ჩავაბა სხვადასხვა საინჟინრო ამოცანის გადაწყვეტაში სწავლების პირველი წლებიდანვე, მაგრამ კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემის მთლიანად გადაჭრა ვერ ხერხდება. ვფიქრობთ, რომ სპეციალისტთა მომზადების ხარისხის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესების მიზნით უნდა განვიხილოთ მომე ინდუსტრიის ფაკულტეტების დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლად გამოყოფის შესაძლებლობა.

და ბოლოს, კიდევ ერთი რამ. ერთ დროს რუსთაველი მეტალურგები იყვნენ დისციპლინის განმტკიცებისათვის მორიგობის ინიციატორები, მაგრამ შემდეგ, როგორც ზემოთ ითქვა, დათმეს თავიანთი პოზიციები. ამიტომ დღეს ისინი განსაკუთრებით მწვავედ გრძნობენ თავიანთ პასუხისმგებლობას, ესმით, რომ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში მათ აქტიურობას, მებრძოლობას მნიშვნელობა აქვს არა მარტო თვით ქარხნისათვის, არამედ მთლიანად ქალაქ რუსთავისთვისაც.

კომუნისტების, მთელი ჩვენი მრავალათასიანი კოლექტივის სახელით მინდა განვაცხადო, რომ რუსთაველი მეტალურგები მხარს უჭერენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, მბრძოლობენ მნიშვნელოვანი თანხებს ეძებენ, ეს მოწმობს, რომ დღემდე ფაბრიკებში მოქმედი პირველ და მეორე ხარისხად ჩაის ფოთლის მიღების წესები მოძველდა, დაკარგა თავისი პირველადელი მნიშვნელობა.

ჩაის წარმოების ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვია დაბერებული პლანტაციების ამოძირკვა და ხელახლა გაშენება. ამ რეზერვის გამოყენება კი რატომღაც ნელა ხორციელდება.

და კიდევ ერთი რამ: უკანასკნელ წლებში ტიენჯის მეურნეობა საკმარისი ოდენობით იღებს. მაგრამ გვაწუხებს მისი მდარე ხარისხი. მაგალითად, მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა დღემდე ვერ მოგვცეს მეჩაიეებს ისეთი მობილური ჩაის საკრეფი მანქანა, რომელიც მკვეთრად შეამცირებდა ნიადაგზე ხელრთნის დაწოლას. ძალზე გაჭიანურდა კარგი მანეერირების მქონე „ჩა-900“ მანქანის გამოშვება. ელექტრომრავისა და მექანიკური ნაწილის ნაკლები საიმედოობის გამო უფრესად გართულებულია ხელის ჩაის სასხლავი და საკრეფი აპარატების გამოყენება. ისინი კონსტრუქციულად უნდა გაუმჯობესდეს. გარკვეული სიძნელეები გვაქვს სათაადარიგო ნაწილებით მომარაგების საქმეშიც.

მთელი რიგი წლების მანძილზე სხვადასხვა ტრიბუნიდან არაერთხელ დაისვა მეჩაიეთა სპეციტანსაცმლის საკითხი, მაგრამ იგი დღემდე არ გადაწყვეტილა.

ბევრი ნაკლოა კოლეგიის დაბლობის დაშრობასა და ათვისებაში. მაგალითად, ლანჩხუთის რაიონში დაშრობილ ფართობებზე 1969-1974 წლებში გაშენებული პლანტაციები მთლიანად ჩამოიწერა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ დაშრობილ მიწებზე, რომლებიც მეურნეობებს გადაეცემა, მთლიანად არ არის დამთავრებული ჰიდროსამელიორაციო და აგროსამელიორაციო სამუშაოთა ციკლი. ნელა მიმდინარეობს თვით დაშრობის სამუშაოებიც.

კარგად ვიცი ჩვენი ნაკლოვანებები. ეს არის მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცირე მოსავლიანობა, საწარმოო პროდუქციის დიდი თვითღირებულება და ა. შ.

ნ. მ. მელივა,

ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის კოლმეურნეობის მეჩაიე

მე, ჩემს ამხანაგებს, ყველა მეჩაიეს მეტისმეტად გვაღელვებს ქართული ჩაის პრესტიჟის დაკარგვის საკითხი. რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონებში მთელი რიგი ფაბრიკები იბარებენ უხარისხო ჩაის, რომელიც მოკრეფილია აგროწესების უხეში დარღვევებით. ამავე დროს ასეთი ნედლეულისათვის პრემია სახით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მნიშვნელოვან თანხებს ურიცხავენ. ეს მოწმობს, რომ დღემდე ფაბრიკებში მოქმედი პირველ და მეორე ხარისხად ჩაის ფოთლის მიღების წესები მოძველდა, დაკარგა თავისი პირველადელი მნიშვნელობა.

ჩაის წარმოების ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვია დაბერებული პლანტაციების ამოძირკვა და ხელახლა გაშენება. ამ რეზერვის გამოყენება კი რატომღაც ნელა ხორციელდება.

და კიდევ ერთი რამ: უკანასკნელ წლებში ტიენჯის მეურნეობა საკმარისი ოდენობით იღებს. მაგრამ გვაწუხებს მისი მდარე ხარისხი. მაგალითად, მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა დღემდე ვერ მოგვცეს მეჩაიეებს ისეთი მობილური ჩაის საკრეფი მანქანა, რომელიც მკვეთრად შეამცირებდა ნიადაგზე ხელრთნის დაწოლას. ძალზე გაჭიანურდა კარგი მანეერირების მქონე „ჩა-900“ მანქანის გამოშვება. ელექტრომრავისა და მექანიკური ნაწილის ნაკლები საიმედოობის გამო უფრესად გართულებულია ხელის ჩაის სასხლავი და საკრეფი აპარატების გამოყენება. ისინი კონსტრუქციულად უნდა გაუმჯობესდეს. გარკვეული სიძნელეები გვაქვს სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საქმეშიც.

მთელი რიგი წლების მანძილზე სხვადასხვა ტრიბუნიდან არაერთხელ დაისვა მეჩაიეთა სპეციტანსაცმლის საკითხი, მაგრამ იგი დღემდე არ გადაწყვეტილა.

ბევრი ნაკლოა კოლეგიის დაბლობის დაშრობასა და ათვისებაში. მაგალითად, ლანჩხუთის რაიონში დაშრობილ ფართობებზე 1969-1974 წლებში გაშენებული პლანტაციები მთლიანად ჩამოიწერა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ დაშრობილ მიწებზე, რომლებიც მეურნეობებს გადაეცემა, მთლიანად არ არის დამთავრებული ჰიდროსამელიორაციო და აგროსამელიორაციო სამუშაოთა ციკლი. ნელა მიმდინარეობს თვით დაშრობის სამუშაოებიც.

კარგად ვიცი ჩვენი ნაკლოვანებები. ეს არის მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცირე მოსავლიანობა, საწარმოო პროდუქციის დიდი თვითღირებულება და ა. შ.

ვ. ა. ქოჩოიანი,

საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი

მეთერთმეტე ხუთწლედში რაიონის მშრომელთა ძირითადი მეცადინეობა მიზნად ისახავდა რესპუბლიკის ეკონომიკაში მისი წვლილის გადიდებას. გარკვეულ ძვრებს მივაღწიეთ: მეათე ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა მარცვლეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის წარმოება. ხუთწლეულის განმავლობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი 46 მილიონ მანეთით გაიზარდა. წარმატებით ვითარდება მრეწველობაც რაიონში.

კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანები განსაზღვრეს რაიონის მშრომელებმა პერსპექტივისათვის. უკვე მიმდინარე ხუთწლედის პირველ წელს ისინი აპირებენ ერთ ძროხაზე მიიღონ 2.500 კილოგრამი რძე, მარცვლეულის მოსავლიანობა გაზარდონ 30 ცენტნერამდე, კარტოფილისა — 200 ცენტნერამდე ჰექტარზე.

დასახულ მიზნებს რომ მივაღწიოთ, საჭიროა მეთორმეტე ხუთწლედის განმავლობაში დამატებით ავითვისოთ ორი ათასი ჰექტარი ყამირი მიწები. ეს საშუალებას მოგვცემს დავალების გადაჭარბებით დავამზადოთ ათი ათასი ტონა მაღალხარისხოვანი საკვები.

შემდგომშიც უნდა ვაახლებდეთ მარცვლეულისა და კარტოფილის თესლს, მაღალი მთის სპეციფიკური კლიმატური პირობების საფუძველზე ენერგიადგეთ ახალ ყინვაგამძლე ჯიშებს. ჯიმოსანაშენე მუშაობის გაძლიერების გზით გავაუმჯობესოთ პირუტყვის ჯიშიანობა, უზრუნველვყოთ პირუტყვის მოვლა თანამედროვე ტიპობრივ სადგომებში, რომელთა მწვავე ნაკლებობასაც განვიცდით ჯერჯერობით.

ჯერ კიდევ ძირეული გარდატეხა არ მომხდარა აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაობაში: ამის მთავარი მიზეზია დარგისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დაბალი დონე, ნაჩქარევი და არათანმიმდევრული გადაწყვეტილებების მიღება. სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში განუწყვეტლივ უნდა იზრდებოდეს ადგილობრივი საბჭოების როლი.

პარტიის რაიკომს, მის ბიუროს თვითანთ მუშაობის ერთ-ერთ სუსტ ადგილად მიაჩნიათ ის, რომ საკმაო ყურადღებას არ უთმობენ წარმოებაში შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების, კერძოდ, ბრიგადული იჯარის დანერგვას. თუ მრეწველობაში მოხერხდა მისი ფართოდ დანერგვა, სოფლის მეურნეობაში ცალკეული ბრიგადებისა და ფერმების გარდა, ძველებურად მუშაობენ.

წარმოების დონისა და ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეზერვია კომპეტენტური, ენერგიული, დაინტერესებული კადრები. აი კონკრეტული მაგალითი. ბოგდანოვკის კოლმეურნეობა-კომბლექსი და სოფელ სათხის კოლმეურნეობა მეზობლად არიან განლაგებული, ერთნაირ პირობებში. ამავე დროს ბირველი მეურნეობაში ყოველწლიურად იწევს ჰექტარზე 50-55 ცენტნერ მარცვლეულს, თითოეულ ძროხაზე სამი ათას კილოგრამ რძეს იღებს. მეორეში — მაჩვენებელი თითქმის ორჯერ ნაკლებია. მისი ხელმძღვანელები, ნაკლებად გამოცდილი, უინიციატივონი არიან.

სამწუხაროდ, ეს ერთეული შემთხვევა როდია. ზოგიერთი მეურნეობის სათავეში აღმოჩნდება ხოლმე სუსტი ორგანიზატორი, არაკომპეტენტური სპეციალისტი, რომელიც ვერ გრძნობს დროის მაჯისცემას, ვერ რაზმავს ადამიანებს ეფექტიანი, ნაყოფიერი შრომისათვის. ამ საკითხში ჩანს პარტიის რაიკომის მუშაობის აშკარა ხარვეზი.

მაგრამ არის ცალკეული საკითხები, რომლებიც ზემდგომი ორგანოების კომპეტენციაში შედის. საქმე ეხება სათბობზე რაიონის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მკაცრი და ხანგრძლივი ზამთრის პირობებში ქვანახშირის გამოყოფილი ფონდები უზრუნველყოფს მოსახლეობის სათბობზე მოთხოვნილების მხოლოდ ორმოცდაათი პროცენტით დაკმაყოფილებას. ბოგდანოვკელები იმედოვნებენ, რომ რესპუბლიკის მთავრობა გითვალისწინებს მათ თხოვნას, და შესაბამის დახმარებას გაუწევს მათ.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ძლიერი ნამქერის, გასაწმენდი სამუშაოების გამო, რომლებსაც მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ასრულებს, იგი ნადრევად ფუჭდება, ეს კი უარყოფითად მოქმედებს საგზაფხულო მინდვრების სამუშაოებზე. სამწუხაროდ, რაიონის ხელმძღვანელობას არ შეუძლია მდგომარეობის საკუთარი ძალებით გამოსწორება.

ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია საბინაო მშენებლობა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ბოგდანოვკაში აშენდა მხოლოდ ერთი 48-ბინიანი სახლი. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროში არაერთგზის მიმართვას ჯერჯერობით შედეგი არ გამოსულა. დროა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ყურადღება მიაქციონ ამ მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას.

კ. თ. ს ა ლ ი ა,

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი

მეთერთმეტე ხუთწლედის წლები მიეძღვნა XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დებულებებით დასახული ამოცანათა პრაქტიკულ გადაწყვეტას. ამ პერიოდში კიდევ უფრო განვითარდა მომსახურების სფერო, მათ შორის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემა. საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეასრულეს ხუთწლედის ყველა წლის გეგმები: მიაღწიეს ზრდის გათვალისწინებულ ტემპს.

მაგრამ სამინისტროს მუშაობის გარეგნული, ერთი შეხედვით კარგი მაჩვენებლების მიღმა ჩანს სერიოზული ნაკლოვანებები, ხარვეზები და სავსებით სამართლიანია ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში ჩენი მისამართით გამოთქმული კრიტიკა.

ვერ უზრუნველვ

საბჭოთა კავშირ-არგენტინის მოლაპარაკება

29 იანვარს მოსკოვში გაგრძელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძისა და არგენტინის საგარეო საქმეთა და კულტის მინისტრის დ. კაპუტოს მოლაპარაკება.

დ. კაპუტომ ე. ა. შევარდნაძეს გადასცა არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტის რ. ალფონსინის წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისადმი. ეს არის პასუხი მ. ს. გორბაჩოვის მიმდე გადაცემულ წერილზე, რომელშიც ჩამოყალიბებულია ახალი საბჭოთა ინიციატივები შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების დარგში.

მინისტრებმა განაგრძეს აზრთა გაზიარება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე და საფუძველიანად განიხილეს საბჭოთა კავშირ-არგენტინის ურთიერთობის საკითხები და მისი განვითარების პერსპექტივები.

მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება იმის გამო, რომ სსრ კავშირისა და არგენტინის ნაყოფიერი თანამშრომლობა დღითიდან ფართოვდება და დაადასტურეს, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია კიდევ უფრო გაღრმავდეს ურთიერთობა თანასწორობის, პატივისცემისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე.

ე. ა. შევარდნაძემ და დ. კაპუტომ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-არგენტინის ოქმს კონსულტაციების შესახებ, შეთანხმდნენ კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ და ოქმს ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 100 წლისთავთან დაკავშირებით დოკუმენტების ერთობლივი კრებულის გამოცემის შესახებ.

შეათანხმეს სსრ კავშირში დ. კაპუტოს ვიზიტის შესახებ საბჭოთა კავშირ-არგენტინის ერთობლივი კომუნიკეს ტექსტი, რომელიც გამოქვეყნდება.

მმავე დღეს ე. ა. შევარდნაძემ საუზმე გაუმართა დ. კაპუტოს, რომლის დროსაც მათ წარმოთქვეს სიტყვები.

საუზმეზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი, სხვა ოფიციალური პირნი.

საუბარი არგენტინის მინისტრთან

29 იანვარს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ე. ა. გრომიკომ მიიღო საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი არგენტინის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და კულტის მინისტრი დანტე მარიო კაპუტო და მისი თანმხლები პირნი.

საუბრის დროს გულდასმით განიხილეს თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ზოგიერთი პრობლემა და საბჭოთა კავშირ-არგენტინის ურთიერთობის საკითხები.

გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად განაგრძობს ბრძოლას საყოველთაო მშვიდობისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში ჩამოყალიბებული ახალი ისტორიული ინიციატივები ისახავენ ნათელ მიზანს — უმოკლეს ვადაში — სულ თხუთმეტი წლის განმავლობაში შეიდგაწიოთ მთელ პლანეტაზე ბირთვული იარაღის სრულ ლიკვიდაციას.

სტუმრის ყურადღება მიაპყრეს მ. ს. გორბაჩოვის ამასწინანდელ წერილს არგენტინის პრეზიდენტის რ. ალფონსინისადმი. წერილი შეიცავდა ინფორმაციას საბჭოთა ინიციატივების შესახებ. მასში ხაზგასმული იყო, რომ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა დაწესდეს საცდელი ბირთვული აფეთქებების ორმხრივი საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორატორიუმი, ხოლო შემდეგ მთლიანად და საყოველთაოდ აიკრძალოს ეს აფეთქებანი.

დ. კაპუტომ აღნიშნა, რომ არგენტინის მთავრობა დადებითად ეკიდება საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს. ამასთან მან თქვა, რომ 15 იანვრის საბჭოთა წინადადებანი, ფაქტიურად დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი, შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების საკითხთა პრაქტიკული გადაწყვეტის კარგ საფუძველს ქმნის.

ცენტრალურ ამერიკაში არსებული მდგომარეობის განხილვისას საბჭოთა მხარემ დაადასტურა, რომ მხარს უჭერს მშვიდობიან პოლიტიკურ მოწესრიგებას ამ რაიონში ან პირობით, რომ განუხრელად იქნება დაცული სუვერენიტეტი და ხალხების უფლება — თავად გადაწყვიტონ, როგორ უნდა იცხოვრონ, რა კურსი განახორციელონ. დ. კაპუტომ გამოთქვა შეშფოთება ცენტრალურ ამერიკაში დაძაბულობის გამო და განაცხადა, რომ არგენტინას, ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებს სურთ ხელი შეუწყონ ამ დაძაბულობის აღმოფხვრას.

საბჭოთა კავშირისა და არგენტინის ორმხრივი ურთიერთობის განხილვისას მხარეებმა „ნაყოფიერებით აღნიშნეს, რომ იგი სულ უფრო ვითარდება. ცალკე განხილეს კონტაქტები პარლამენტების ხაზით. გამოთქვა აზრი, რომ უფრო სრულად უნდა გამოიკეონონ ურთიერთხელსაყრელ სტაბილურ საფუძველზე სხვადასხვა სფეროში ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობანი. სსრ კავშირში იმედი აქვთ, რომ თანამედროვეობისა და საბჭოთა კავშირ-არგენტინის ურთიერთობის კარდინალურ საკითხებში ურთიერთგაგების გაღრმავებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება მოსკოვში პრეზიდენტ რ. ალფონსინის მომავალ ვიზიტს.

მხარეები იმ აზრისა არიან, რომ საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარება დაბეჯითებით მოითხოვს სახელმწიფო მოღვაწეებისაგან გაუმართლონ ხალხებს მშვიდობის იმედები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში:

ვაშინგტონის ახალი აქცია

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატები ახალ აქციას ამზადებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინააღმდეგ, რაც იმით გამოიხატება, რომ ცდილობს ხელი შეუშალოს საერთაშორისო გაერთიანების ძალისხმევას ტრანსეროვნული კორპორაციების მატაცებლური ხასიათის შეზღუდვისათვის.

როგორც ცნობილი გახდა, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ალან კისმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გუგზავნა წერილი, რომელშიც აცნობებს ვაშინგტონის განზრახვას „შეწყვიტოს თანამშრომლობა“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ტრანსეროვნული კორპორაციების საკითხთა ცენტრთან.

საერთაშორისო გაერთიანების წრეებში ამერიკის აქცია მიიჩნიათ კიდევ ერთ ცდად ხელი შეუშალოს განვითარებადი ქვეყნების ბრძოლას ნეოკოლონიალიზმისა და მისი მთავარი დამრტყმელი ძალის — ტრანსეროვნული კორპორაციების წინააღმდეგ, ჩაშალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ამ კორპორაციების ქცევის კოდექსის შემუშავება და მიღება.

● უგანდა

პრეზიდენტმა ფიცი დადო

კამპალა. უგანდის წინააღმდეგობის ეროვნული მოძრაობისა და წინააღმდეგობის ეროვნული არმიის მეთაურმა ირვერი მუსევენიმ ფიცი დადო, როგორც აღმოსავლეთ აფრიკის ამ ქვეყნის პრეზიდენტმა. საზეიმოთანეული დიპლომატიბისა და ეურნალისტების წინაშე გამოსვლისას მან განაცხადა, რომ უგანდის ახალი ხელმძღვანელობა აპირებს განახორციელოს მიუშბრობლობის პოლიტიკა და კარგი ურთიერთობა განავითაროს ყველა სახელმწიფოსთან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ისრაელის გარდა.

წინააღმდეგობის ეროვნული მოძრაობა ემზადება დაიწყოს ეროვნული რეკონსტრუქციის პროგრამის განხორციელება. მისი მიზანია ბოლო მოეღოს ვალუტის მარაგის დეფიციტს, სამრეწველო მოწყობილობის, მედიკამენტების, საშენი მასალების ნაკლებობას.

წინააღმდეგობის ეროვნული მოძრაობა, აღნიშნა ი. მუსევენიმ წარმოადგენს უგანდელთა დემოკრატიული წრეების ინტერესებს და მას ზხარს უჭერენ ფართო მასები. ჩვენ შეუპოვრად ვიბრძოლებთ კორუფციის წინააღმდეგ, ყოველ ღონეს ვიხმართ მოქალაქეთა ხელშეუვალი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისათვის. წინააღმდეგობის ეროვნული მოძრაობა მოუწოდებს უგანდის ყველა სამხედრო-პატრიოტულ დაჯგუფებას გაიერთიანონონ ძალები, რათა ააშენონ ახალი ცხოვრება. მაგრამ ქვეყნის მართვაში მონაწილეობისათვის არ დაუშვებენ იმათ, ვინც სახელი გაიტეხა ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულთან.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

◆ **ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲗᲘ.** აქ გაიმართა ატომური ელექტროსადგურების მოწყობილობის წარმოებაში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნებისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის თანამშრომლობის საშთავრობათშორისო კომისიის მეცამეტე სხდომა.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში ატომური ელექტროსადგურებისა და თბომოძრაგების სადგურების 2000 წლამდე პერიოდისათვის გათვალისწინებული პროგრამის პროექტის მომზადებასთან დაკავშირებით განსაზღვრეს ამ ობიექტების მოწყობილობის წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერაციის ღონისძიებანი.

◆ **რომი.** მძლავრი მანიფესტაცია გამართეს იტალიის დედაქალაქში მშვიდობის მომხრეებმა. მთელი რიგი პროგრესული და ომისაწინააღმდეგო ორგანიზაციის მოწოდებით ქუჩებში გამოვიდა ათასობით რომაელი. მათ მოპქონდათ პლაკატები და ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილი იყო: „მოვითხოვთ იტალიის ნატოდან გამოსვლას!“, „შეწყდეს ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული ფრთოსანი რაკეტების განლაგება!“.

◆ **ᲐᲓᲘᲡ-ᲐᲑᲔᲑᲐ.** ლიბიის სანაპიროებთან ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული სამხედრო-საზღვაო მანევრების დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოითხოვა ეთიოპიის მთავრობამ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

1 თებერვალს მალმეში (შვეცია) იწყება მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი ქალთა შორის. ამასთან დაკავშირებით ჩვენი საჰადრაკო მიმომხილველი **გ. გამრეკელი** ესაუბრა მსოფლიოს ექსჩემპიონს **ნონა გაფრინდაშვილს.**

● **პრეტენდენტთა ასპარეზობის დებულება ერთხელ კიდევ შეიცვალა. ადრე ეწყობოდა პრეტენდენტების ტურნირები ერთ წრედ, შემდეგ შემოიღეს მატჩები, ახლა კი პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი ორ წრედ. რას იტყვით ამ ცვლილებების შესახებ?**

— ჩემი აზრით, მატჩ-ტურნირი, რომელიც ახლა პირველად გათამაშდება, შეჯიბრების ყველაზე უფრო სამართლიანი, შეიძლება ითქვას, იდეალური ფორმაც კი გახლავთ. პრეტენდენტების ადრინდელ ტურნირებს (16 მონაწილით) ის ნაკლი ჰქონდა, რომ იქ არაერთი შედარებით სუსტი მოჭადრაკე ხვდებოდა. მატჩები ოლიმპიური სისტემით ზოგს იმის საბაბს აძლევდა, რომ იგი უძლიერეს მონაწილეს შეხვდა, სხვებმა კი შედარებით იოლად გაიკვლიეს გზა. მე ეს თვით გამომიცდია — პრეტენდენტების ტურნირშიც მითამაშია და მატჩშიც. ფორმა, რომელიც ახლა შემოიღეს, ყველაზე უფრო სამართლიანია: 8 მონაწილე ორ წრედ, პარტიების თანაბარი რაოდენობა თეთრებით და შავებით. 14 პარტია ცოტა არ გახლავთ და ის, ვინც უძლიერესია, ყოველთვის დაამტკიცებს თავის უპირატესობას. ჩემი აზრით, პრეტენდენტთა შეჯიბრება ყოველთვის ასეთნაირად უნდა ორგანიზდეს.

● **ხომ არ დაგვიხასიათებდით თითოეულ მონაწილეს? თქვენ ყველა მათგანთან გითამაშიათ: ზოგთან ბევრჯერ, ზოგთან თითო პარტია მაინც...**

— ყველაზე ხშირად ნანა ალექსანდრიას შეეხვედრივარ. მისმა მთელმა საჰადრაკო გზამ ფაქტობრივად ჩემ თვალწინ გაიარა. მახსოვს, როცა ნანა გოგონა იყო დიდი ბაფთით. ბოლოს ხომ დიდი მატჩიც ვითამაშეთ მსოფლიო პირველობაზე. ერთი სიტყვით, მე ომის თქმა მინდა, რომ ნათელი წარმოდგენა მაქვს ნანას თამაშის სტილზეც და ძალზეც. დღეისათვის ალექსანდრია გახლავთ ძალიან ძლიერი, უნივერსალური სტილის მოჭადრაკე, ფართო საგებიუტო რეპერტუარით, და ფხვიწილი ტექნიკით. შარშან ნანა საკმაოდ თანაბრად, წარმატებით თამაშობდა, მაგრამ მისი მთავარი მიღწევა მაინც ჰავანაში საზონთაშორისო ტურნირის მოგება იყო. თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ ნანამ შემოდგომაზე ერთგვარი მარცხი განიცადა ოუგოსლავიის საერთაშორისო ტურნირში, სადაც მოჭადრაკეები პირველად გადავიდნენ ექვსსაათიან კონტროლზე. ამას, ცხადია, შეგუება უნდა. ამ მარცხს დიდ მნიშვნელობას ნუ მივანიჭებთ. ფსიქოლოგიურად იგი კარგიც კია პრეტენდენტების ასპარეზობის წინ — საკუთარი თამაშისადმი კრიტიკული თვალთან შეხედვა აუცილებელია.

ერთი სიტყვით, მე ნანა ალექსანდრია მალმეში პირველი ადგილის ერთ-ერთ უდავო პრეტენდენტად მიმაჩნია. ასეთ პრეტენდენტს, მოგეხსენებათ, ცოტა იღბალიც უნდა ჰქონდეს. ვნახოთ...

● **კიდევ რომელ მონაწილეებს გამოყოფდით?**

— ალექსანდრიას გარდა გამოვყოფდი კრამლინგს, ახმილოვსკაიას, ლევიტინას. კრამლინგზე საჰადრაკო პრესა ბევრს წერს. ახლა იგი განუწყვეტლივ თამაშობს, ძირითადად ვაქების ტურნირებში. როცა ქალი ვაქ დიდოსტატს ამარცხებს, ეს გულშემატკივართა უყურადღებას იქცევს, კრამლინგს კი უკვე რამდენიმე ასეთი შემთხვევა ჰქონდა.

ქალთა შეჯიბრებებს რომ დაეუბრუნდეთ, შეიძლება ითქვას, კრამლინგს წლის განმავლობაში აქაც ჰქონდა წარმატება, თუმცა არც ისე შთამბეჭდავი. დავიწყოთ იმით, რომ მან იოლად გაიმარჯვა ზონალურ ტურნირში, სადაც ღირსეული მეტოქეები არა ჰყავდა. შემდეგ კრამლინგს ძალიან გაუჭირდა ჰავანის საზონათშორისო ტურნირში, სადაც მისი პარტიების ხარისხი არ იყო მაინცდამაინც მაღალი. სპორტული თვალსაზრისით მაშინ ყველაფერი მისთვის კეთილად დასრულდა — კრამლინგმა გაიყო გამსვლელი ადგილი, დამატებით მატჩ-ტურნირის შემდეგ კი პრეტენდენტთა ასპარეზობაში პირველად მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ახლა ახალგაზრდა შვედს შინ უხდება თამაში. არ ვიცი, საბოლოო ანგარიშით, ეს მისთვის კარგია თუ ცუდი. შინ თამაშს უპირატესობებთან ერთად ხშირად უსიამოვნებანიც ახლავს. ისე კი, თუ გავითვალისწინებთ კრამლინგის საკმაოდ თვალსაჩინო გამოცდილებას, მის პრაქტიკულ ძალას (თორიის სფეროში მისი ცოდნა მაინცდამაინც დიდი არ გახლავთ), შეიძლება დავასკვნათ, რომ კრამლინგი მხოლოდ პირველი ადგილისათვის იბრძოლებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, იგი უძლიერეს მონაწილეებს უნდა მივაკუთვნოთ.

ელენე ახმილოვსკაია, უპირველეს ყოვლისა, ცხობილია, როგორც მეტად მტკიცე, შეუპოვარი მოჭადრაკე, უაღრესად იშვიათად რომ აგებს. ეს, რა თქმა უნდა, სატურნირო მებრძოლისათვის ძვირფასი თვისებაა, მაგრამ აძალად საჭირო გახდება სხვა რამ — მეტი შეტევა, მეტი აგრესია, მეტი შემართება. თუ ახმილოვსკაია ამ თვისებებსაც გამოიჩენს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი პირველი ადგილის. პრეტენდენტი იქნება. ახმილოვსკაიას აქვს პრეტენდენტთა ასპარეზობაში მონაწილეობის გამოცდილება, მაგრამ მაშინ ხომ მატჩებს თამაშობდა, ახლა კი მატჩ-ტურნირია და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ახალი შეჯიბრება სხვა მიდგომას მოითხოვს. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ექნება კონკრეტულ მომზადებასაც. წინასწარ კი შეიძლება ითქვას — ახმილოვსკაიას დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვს.

ირინე ლევიტინას დიდი საჰადრაკო ნიჭი აქვს. მე ეს პირველად აღვნიშნე ჯერ კიდევ მაშინ, როცა ლენინგრადელი სრულიად ახალგაზრდა ოსტატი იყო. შემდგომ მან დიდი გზა გაიარა და მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი გახდა. ის, რომ ირინე პრეტენდენტთა ახლანდელ მატჩ-ტურნირში პირდაპირ, შერჩევის გარეშე დაუშვეს, თქვენ წარმოიდგინეთ, გვიძნელებს კიდეც მის ახლანდელ თამაშზე მსჯელობას. თბილისის უკანასკნელ საერთაშორისო ტურნირზე ლევიტინა ბევრს ვერაფერს გახდა, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა, ცხადია, არა აქვს. ჩემთვის ცნობილია, რომ ლენინგრადელმა უკანასკნელ ხანს შეჯიბრებებში მოხალოვნებისაგან თავი შეიკავა, მეტი ყურადღება მიაქცია თეორიულ მომზადებას. ერთი სიტყვით, ლევიტინა მალე ასპარეზობას დიდი იმედით ხვდება.

● **დანარჩენ მონაწილეებზე რაღას იტყვით?**

— დანარჩენებს, ჩემი აზრით, პირველი ადგილისათვის ბრძოლას საშუალება არ ექნებათ. რატომ? მარტა ლიტინსკაიას 1985 წლის მანძილზე არაერთგზის შეეხვედი. თუ სპორტული შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ლვოველს ვერაფერს დავუშუნებთ. პრეტენდენტი გახდა, ეროვანში საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედალს დაეუფლა. მაგრამ მე მაინც ვერ დავიხახე ნამდვილად მძლავრი თამაში, ისეთი, რომელსაც სხვა პრეტენდენტები ვერაფერს დაუპირისპირებენ. ლიტინსკაია კარგად არის მომზადებული თეორიულად, აქვს მაღალი სპორტული თვისებები, იყენებს სხვის შეცდომებს. მაგრამ მინდა გავიმეორო, რომ მოჭადრაკეს, რომელსაც პრეტენდენტთა ასპარეზობის მოგება სურს, მაინც მეტი მოეთხოვება, ძირითადად შემოქმედებითი თვალსაზრისით.

პოლონელი აგნეშკა ბრუსტმანი უდავოდ ნიჭიერია. ჯერ იყო და გოგონების შეჯიბრებებში მიიქცია ყურადღება, ახლა კი პირველივე ცდით პრეტენდენტების ასპარეზობაში გამოსვლის უფლება მიიღო. მე მის თამაშს საკმაოდ დავაკვირდი ყელზნოვოდსკის საზონათშორისო ტურნირზე. პოლონელმა თავიდან ბოლომდე აღმავლობით იბრძოლა, შემდეგ ლუდმილა ზაიცევასთანაც მიაღწია უპირატესობას. მაგრამ ბრუსტმანი ახალგაზრდაა, მისი დრო ჯერ არ დამდგარა, ისე კი, რა თქმა უნდა, შემდეგში გაცილებით უკეთ უნდა ითამაშოს.

ჩინელი ვუ მინ ცენიც პრეტენდენტთა ასპარეზობის ახალბედა მონაწილეა. თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ, იგი უკეთ თამაშობს, თუ ადრინდელი ჩინელი პრეტენდენტი ლიუ შილანი. შესაძლოა, მაინც ლიუ შილანი, მაგრამ მას ყველაზნოვოდსკში თამაში არ გამოუვიდა, ეს კი იღბლიანად და ამასთან იშვიათი შეუპოვრობით იბრძოდა... იგი წმინდა პრაქტიკოსია, კარგი „ხედვით“, ისე იოლად ვერ მოუგებ.

დაგვრჩა ლიდა სემიონოვა. 1983-1984 წლებში მას მართლაც რომ დიდი წარმატებები ჰქონდა, და პრეტენდენტთა ფინალურ მატჩშიც კი ითამაშა. ამ ორ წელიწადში კიეველს რაიმე ახალი მიღწევა არ ჰქონია. დეკემბერში ჩვენ ერთად ვითამაშეთ ერევანში, სადაც სემიონოვა მხოლოდ ცალკეულ შეხვედრებში თუ ტოვებდა კარგ შთაბეჭდილებას. ამიტომაც, ვფიქრობ, იგი ახლა მაინცდამაინც დიდ პრეტენზიას ვერ განაცხადებს...

ერთი სიტყვით, შეგვიძლია ყოველივე ზემოდ თქმული მოკლედ შევაჯამოთ. 8 მონაწილიდან 4 პირველი ადგილის პრეტენდენტია. რაც შეეხება დანარჩენ ოთხს, არც მათი უგულებელყოფა შეიძლება. ისინი ძნელი დასაძლევი იქნებიან და არაპირდაპირად პირველი ადგილის ბედ-იღბალზე იმოქმედებენ.

ᲛᲐᲢᲩ-ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ ᲛᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲛᲝᲔᲦᲧᲝᲑᲐ

ᲚᲣᲪᲔᲠᲜᲨᲘ (შვეიცარია) გამართულ პრესკონფერენციაზე ჰადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ფ. კამპომანესმა განაცხადა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება მსოფლიო ჩემპიონის გ. კასპაროვისა და მსოფლიო ექს-ჩემპიონის ა. კარპოვის მატჩ-რევანში მოეწყოს მომდინარე წლის ზაფხულში. ეს მატჩი გაიმართება 28 ივლისიდან 4 აგვისტომდე.

პრესკონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს კასპაროვმა და კარპოვმა. გამოცხადდა აგრეთვე ისიც, რომ მატჩ-რევანშის რეგლამენტით გათვალისწინებულია 24 პარტიის გამართვა. რაც შეეხება მატჩის მოწყობის ადგილს, იგი დამატებით გამოცხადდება.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲰᲐᲓᲠᲐᲙᲘ. ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი არტურ იუსუპოვსა (სსრ კავშირი) და იან ტიმანს (ჰოლანდია) შორის. მეშვიდე ტურის შემდეგ იუსუპოვი მნიშვნელოვნად დაწინაურდა (4,5:2,5) და ახლა მას საბოლოო გამარჯვებისათვის დარჩენილ სამ პარტიაში ერთი ქულაც ჰყოფნის. გუშინ მოჭადრაკეებს მერვე პარტია უნდა ეთამაშათ, მაგრამ ტიმანმა ტაიმ-აუტი აიღო.

ᲙᲐᲚᲐᲯ ვეიკ-ან-ზეეში (ჰოლანდია) მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტურით ადრე 7-7 ქულით ლიდერობენ ნიკჯელ შორტი (ინგლისი) და ლუბომირ ლუბოევიჩი (იუგოსლავია). ხარკოველ ალექსანდრე ჩერნინს ჯერჯერობით 5 ქულა აქვს.

ᲨᲔᲮᲔᲑᲣᲠᲗᲘ. დასასრულს მიუახლოვდა ინდოეთის ქალაქ ტრივანდრუმში მიმდინარე ჯავაჰარლალ ნერუს ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება. სსრ კავშირის საკლუბო გუნდების ნაკრებმა მორიგი მატჩი სამხრეთ კორეის ეროვნულ გუნდთან გამართა და იგი დაამარცხა ანგარიშით 1:0. ჩვენმა ნაკრებმა 9 ქულა დაგროვა და ფინალში გავიდა. მისი მეტოქე გამოვლინდება დღეს, როცა ერთმანეთს შეხვდებიან გდრ-ისა და ჩინეთის ნაკრები კოლექტივები.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ დაიწყო უმაღლეს ლიგაში მონაწილე დინამოელ ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება. გუშინდელი მატჩების განრიგი ასეთი იყო: კიევის „დინამო“ — მინსკის „დინამო“, თბილისის „დინამო“ — მოსკოვის „დინამო“. დღეს ამ წყვილებს შორის გამარჯვებულები პირველი ადგილისათვის შეხვდებიან, ხოლო დამარცხებულები — მესამე ადგილისათვის.

ᲡᲐᲝᲮᲘᲚᲐᲛᲬᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ბაკურიანში დაიწყო ქვეყნის ჩემპიონატი და სსრ კავშირის თასის გათამაშება სათხილამურო რბოლაში, რომელთა პირველი გამარჯვებული ხახინი არ იყო მაინცდამაინც მაღალი. სპორტული თვალსაზრისით მაშინ ყველაფერი მისთვის კეთილად დასრულდა — კრამლინგმა გაიყო გამსვლელი ადგილი, დამატებით მატჩ-ტურნირის შემდეგ კი პრეტენდენტთა ასპარეზობაში პირველად მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ახლა ახალგაზრდა შვედს შინ უხდება თამაში. არ ვიცი, საბოლოო ანგარიშით, ეს მისთვის კარგია თუ ცუდი. შინ თამაშს უპირატესობებთან ერთად ხშირად უსიამოვნებანიც ახლავს. ისე კი, თუ გავითვალისწინებთ კრამლინგის საკმაოდ თვალსაჩინო გამოცდილებას, მის პრაქტიკულ ძალას (თორიის სფეროში მისი ცოდნა მაინცდამაინც დიდი არ გახლავთ), შეიძლება დავასკვნათ, რომ კრამლინგი მხოლოდ პირველი ადგილისათვის იბრძოლებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, იგი უძლიერეს მონაწილეებს უნდა მივაკუთვნოთ.

ელენე ახმილოვსკაია, უპირველეს ყოვლისა, ცხობილია, როგორც მეტად მტკიცე, შეუპოვარი მოჭადრაკე, უაღრესად იშვიათად რომ აგებს. ეს, რა თქმა უნდა, სატურნირო მებრძოლისათვის ძვირფასი თვისებაა, მაგრამ აძალად საჭირო გახდება სხვა რამ — მეტი შეტევა, მეტი აგრესია, მეტი შემართება. თუ ახმილოვსკაია ამ თვისებებსაც გამოიჩენს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი პირველი ადგილის. პრეტენდენტი იქნება. ახმილოვსკაიას აქვს პრეტენდენტთა ასპარეზობაში მონაწილეობის გამოცდილება, მაგრამ მაშინ ხომ მატჩებს თამაშობდა, ახლა კი მატჩ-ტურნირია და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ახალი შეჯიბრება სხვა მიდგომას მოითხოვს. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ექნება კონკრეტულ მომზადებასაც. წინასწარ კი შეიძლება ითქვას — ახმილოვსკაიას დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვს.

ირინე ლევიტინას დიდი საჰადრაკო ნიჭი აქვს. მე ეს პირველად აღვნიშნე ჯერ კიდევ მაშინ, როცა ლენინგრადელი სრულიად ახალგაზრდა ოსტატი იყო. შემდგომ მან დიდი გზა გაიარა და მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი გახდა. ის, რომ ირინე პრეტენდენტთა ახლანდელ მატჩ-ტურნირში პირდაპირ, შერჩევის გარეშე დაუშვეს, თქვენ წარმოიდგინეთ, გვიძნელებს კიდეც მის ახლანდელ თამაშზე მსჯელობას. თბილისის უკანასკნელ საერთაშორისო ტურნირზე ლევიტინა ბევრს ვერაფერს გახდა, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა, ცხადია, არა აქვს. ჩემთვის ცნობილია, რომ ლენინგრადელმა უკანასკნელ ხანს შეჯიბრებებში მოხალოვნებისაგან თავი შეიკავა, მეტი ყურადღება მიაქცია თეორიულ მომზადებას. ერთი სიტყვით, ლევიტინა მალე ასპარეზობას დიდი იმედით ხვდება.

● **დანარჩენ მონაწილეებზე რაღას იტყვით?**

— დანარჩენებს, ჩემი აზრით, პირველი ადგილისათვის ბრძოლას საშუალება არ ექნებათ. რატომ? მარტა ლიტინსკაიას 1985 წლის მანძილზე არაერთგზის შეეხვედი. თუ სპორტული შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ლვოველს ვერაფერს დავუშუნებთ. პრეტენდენტი გახდა, ეროვანში საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედალს დაეუფლა. მაგრამ მე მაინც ვერ დავიხახე ნამდვილად მძლავრი თამაში, ისეთი, რომელსაც სხვა პრეტენდენტები ვერაფერს დაუპირისპირებენ. ლიტინსკაია კარგად არის მომზადებული თეორიულად, აქვს მაღალი სპორტული თვისებები, იყენებს სხვის შეცდომებს. მაგრამ მინდა გავიმეორო, რომ მოჭადრაკეს, რომელსაც პრეტენდენტთა ასპარეზობის მოგება სურს, მაინც მეტი მოეთხოვება, ძირითადად შემოქმედებითი თვალსაზრისით.

პოლონელი აგნეშკა ბრუსტმანი უდავოდ ნიჭიერია. ჯერ იყო და გოგონების შეჯიბრებებში მიიქცია ყურადღება, ახლა კი პირველივე ცდით პრეტენდენტების ასპარეზობაში გამოსვლის უფლება მიიღო. მე მის თამაშს საკმაოდ დავაკვირდი ყელზნოვოდსკის საზონათშორისო ტურნირზე. პოლონელმა თავიდან ბოლომდე აღმავლობით იბრძოლა, შემდეგ ლუდმილა ზაიცევასთანაც მიაღწია უპირატესობას. მაგრამ ბრუსტმანი ახალგაზრდაა, მისი დრო ჯერ არ დამდგარა, ისე კი, რა თქმა უნდა, შემდეგში გაცილებით უკეთ უნდა ითამაშოს.

ჩინელი ვუ მინ ცენიც პრეტენდენტთა ასპარეზობის ახალბედა მონაწილეა. თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ, იგი უკეთ თამაშობს, თუ ადრინდელი ჩინელი პრეტენდენტი ლიუ შილანი. შესაძლოა, მაინც ლიუ შილანი, მაგრამ მას ყველაზნოვოდსკში თამაში არ გამოუვიდა, ეს კი იღბლიანად და ამასთან იშვიათი შეუპოვრობით იბრძოდა... იგი წმინდა პრაქტიკოსია, კარგი „ხედვით“, ისე იოლად ვერ მოუგებ.

დაგვრჩა ლიდა სემიონოვა. 1983-1984 წლებში მას მართლაც რომ დიდი წარმატებები ჰქონდა, და პრეტენდენტთა ფინალურ მატჩშიც კი ითამაშა. ამ ორ წელიწადში კიეველს რაიმე ახალი მიღწევა არ ჰქონია. დეკემბერში ჩვენ ერთად ვითამაშეთ ერევანში, სადაც სემიონოვა მხოლოდ ცალკეულ შეხვედრებში თუ ტოვებდა კარგ შთაბეჭდილებას. ამიტომაც, ვფიქრობ, იგი ახლა მაინცდამაინც დიდ პრეტენზიას ვერ განაცხადებს...

ერთი სიტყვით, შეგვიძლია ყოველივე ზემოდ თქმული მოკლედ შევაჯამოთ. 8 მონაწილიდან 4 პირველი ადგილის პრეტენდენტია. რაც შეეხება დანარჩენ ოთხს, არც მათი უგულებელყოფა შეიძლება. ისინი ძნელი დასაძლევი იქნებიან და არაპირდაპირად პირველი ადგილის ბედ-იღბალზე იმოქმედებენ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲛᲭᲘᲤᲝ ᲑᲐᲜᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ საქართველოს რესპუბლიკური მთავარი სამმართველო გვაცყობინებს, რომ გაზეთ „კომუნისტის“ 30 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული